აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№17 (25.041) ხუთშაბათი, 16 - 17 თებერვალი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია თოვა, დროგამოშვებით - ძლიერი, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 0-5 გრადუსი სითბო, შიდამთიან რაიონებში - 2-7, მაღალ მთაში - 5-10 გრადუსი ყინვა.

ზღვის წყლის ტემპერატურა 8 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 769 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, ზეგ მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია, მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძის ხელმძღვანელობით, ნატოს შტაბ-ბინაში ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ უკრაინის თავდაცვის საკონტაქტო ჯგუფის (ე.წ. რამშტაინის ფორმატი) შეხვედრას დაესწრო, რომელსაც აშშ-ის თავდაცვის მდივანი ლოიდ ოსტინი და გაერთიანებული შტატების უფროსი, გენერალი მარკ მილი მასპინძლობდნენ. უკრაინის თავდაცვის საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრაში 50-ზე მეტი თანამოაზრე ქვეყნის თავდაცვის მინისტრები და მაღალი რანგის სამხედრო პირები მონაწილეობდნენ.

* * *

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი კორეის რესპუბლიკის ასამბლეაში მოქმედ საქართველო-კორეის მეგობრობის ჯგუფის წევრებს შეხვდა. მხარეებმა ისაუბრეს საქართველო-კორეის ორმხრივ ურთიერთობაზე. დადებითად შეფასდა საპარლამენტო დონეზე მზარდი თანამშრომლობა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ნენსკრაჰესის პროექტის შესახებ. აღინიშნა, რომ ამ პროექტის წარმატებით განხორციელება დიდ წვლილს შეიტანს საქართველო-კორეის სამომავლო ურთიერთობების გაღრმავებაში, რაც ასევე, ხელს შეუწყობს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების პროცესს.

* * *

პარტია „ლელო“ 20 და 24 თებერვალს „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაანონსებულ აქციებს არ უერთდება. ამის შესახებ „ლელოს“ წევრმა გრიგოლ გეგელიამ განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ინიცირებული ფორმატები პროდუქტიულობით არ გამოირჩევა. „24 თებერვალს გვაქვს დაგეგმილი ძალიან მნიშვნელოვანი პროუკრაინული დღის წესრიგი, რის თაობაზე საზოგადოება მალე იქნება ინფორმირებული,“ - განაცხადა გეგელიამ.

* * *

გავრცელებული ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილი დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება, სინამდვილეს არ შეესაბამება, - ამის შესახებ სპეციალური პენიტენციური სამსახურის განცხადებაშია აღნიშნული, რომელსაც უწყება საქართველოს მესამე პრეზიდენტის კლინიკა „ვივამედში“ ყოფნის ამსახველ ვიდეოკადრებთან ერთად ავრცელებს. სპეციალური პენიტენციური სამსახური მოუწოდებს მედიასაშუალებებს და საზოგადოებას, თავი შეიკავონ შეცდომაში შემყვანი, არასრული და ფრაგმენტული ინფორმაციით სპეკულირებისაგან.

მოამზადა
ია შველიძემ

თებერვალი აღარ ხუმრობს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

გუშინ ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დილიდანვე თოვა დაიწყო. ტემპერატურის მკვეთრმა დაცემამ კიდევ უფრო გაართულა ხულო-ბათუმისა და ხულო-ზანკების მიმართულებით ტრანსპორტის გადაადგილება. ხეობებსა და სოფლებში მისასვლელ საავტომობილო გზებზე ტრანსპორტის მოძრაობა ნაწილობრივ შეიზღუდა და მიმოსვლა მაღალი გამავლობის ტრანსპორტითა და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებითაა შესაძლებელი

ხულოს მუნიციპალიტეტის მერის ვახტანგ ბერიძის ხელმძღვანელობით, საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის სხდომა გაიმართა. მოისმინეს სასიცოცხლო ობიექტების, საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბის და მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელების ინფორმაციები არსებული მდგომარეობისა და სამომავლოდ მუშაობის თაობაზე. აღინიშნა, რომ მოსალოდნელ დიდთოვლობასთან დაკავშირებით, მობილიზებულია ადამიანური რესურსი და შესაბამისი სპეცტექნიკა.

შტაბის სხდომას საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე ესწრებოდნენ.

- ხულოში უხვნალექიანი ზამთრების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, იგი მეტწილად თებერვალზე მოდის. ჯერჯერობით, საგანგაშო მდგომარეობა არ გვაქვს, მაგრამ პრევენციული ღონისძიებების გატარებას ვცდილობთ. ამ დროს ყველაზე მეტად ზვავების ჩამოწოლას უნდა ველოდოთ. ტრანსპორტითა და ქვეითად მიმომსვლელებს ვურჩევთ, ღამის საათებში გადაადგილებისგან თავი შეიკავონ. ამ ეტაპზე სასიცოცხლო ობიექტებში ნორმალური მდგომარეობაა, საკმაო მარაგის სასურსათო პროდუქტებიცაა შემოტანილი, პური ადგილზე ცხვება, - გვითხრა ვახტანგ ბერიძემ.

* * *

15 თებერვლის ღამეს ტემპერატურის მკვეთრმა დაცემამ გზები მოყინა, რის გამოც ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის დოლოგანი-დანდალოს მონაკვეთზე, რომელიც ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის, ტრანსპორტის გადაადგილება საგრძნობლად გართულდა. გზებზე მარილისა და წვრილი ქვიშის მიმობნევამაც პრობლემა ვერ მოხსნა. გუშინ ქედის მუნიციპალიტეტში დილიდან განახლდა თოვლის საფარისგან გზების გაწმენდითი სამუშაოები. ცენტრალურ მაგისტრალთან ერთად, თოვლის საფარისგან იწმინდებოდა ქედა-მერისის, დანდალო-ხარაულის, კოლოტაური-უჩხითი-მილისის, მახუნცეთი-ზუნდაგის, ზვარე-ზესოფლის, ცხმორისი-ახო-გეგელიძეების, ზვარე-ვაიოს მონაკვეთები.

გაწმენდით სამუშაოებში ჩართული იყო ქედის კომუნალურსერვისისა და აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის 17 ერთეული ტექნიკა.

აჭარის მთიანეთში საავტომობილო დეპარტამენტის დაქვემდებარებაშია 2500 კილომეტრზე მეტი საავტომობილო გზა. დიდთოვლობისას გზებზე მიმდინარე სამუშაოებს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე მამუკა თურმანიძესთან, მის მოადგილე როლანდ ბოლქვაძესთან ერთად გაწმენდის სამუშაოებს აკვირდებოდნენ ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების პირველი პირები.

85 მეხანძრე-მაშველი ქალაქ ადიამანში გაემგზავრა 2

რა გვჭირდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის? 3

როგორ დავნეროთ საგრანტო პროექტი და რა ნიუანსებზე გავითვალისწინოთ? 4

ახალგაზრდა - ახალგაზრდების გამოწვევებზე 5

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

სამედიცინო პერსონალის მაქსიმალური ინფორმირებისთვის

ნაირა შუტკარაძე 27 48 93

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე, პირველ მოადგილე მარი ზანაქიძესთან ერთად, ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომლებს შეხვდა და სამინისტროს 2023 წლის პროგრამები გააცნო, ისაუბრა სამომავლო გეგმებზე

ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო ჩართულია როგორც საყოველთაო ჯანდაცვის, ასევე აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამებში. ესენია: ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების და ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევების პროგრამები.

- საინფორმაციო შეხვედრები რეგიონის ყველა სამედიცინო დაწესებულებაში გაიმართება. წელს აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ არაერთი სიახლე დანერგა. ჩვენი მიზანია სამედიცინო პერსონალის მაქსიმალური ინფორმირება, რომ გამოიყენონ სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებისათვის დაწესებული შეღავათები თითოეული პაციენტის მკურნალობის პროცესში, - აღნიშნა ნინო ნიჟარაძემ.

შეხვედრაზე მინისტრმა და მინისტრის პირველმა მოადგილემ რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში შეტანილი წვლილისა და 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმი-რადიოლოგები სოლომონ ფუტკარაძე და ოთარ მიქელაძე დააჯილდოვეს.

85 მეხანძრე-მაშველი ქალაქ ადიამანში გაემგზავრა

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

ქართველი მეხანძრე-მაშველების ახალი ჯგუფი იმ მეხანძრე-მაშველებს ჩაანაცვლებს, რომლებიც თურქეთის რესპუბლიკაში ამ დრომდე ახორციელებენ მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებს. მუშაობას განაგრძობენ ადგილზე მოქმედი შტაბის ხელმძღვანელები და სპეციალიზებული მაშველები

თურქეთის რესპუბლიკაში მიწისძვრით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებში სამაშველო ჯგუფი საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით იმყოფება.

ქართული სამაშველო ჯგუფი ქალაქ ადიამანში სამაშველო ოპერაციას ორ სექტორზე ახორციელებს. ადგილზე მოწყობილი საველე შტაბი ქალაქ ადიამანის ოპერატიული მართვის ცენტრთან კოორდინაციით მუშაობს.

ქართველი მაშველების ახალი ჯგუფი დაკომპლექტებულია მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით გადამზადებული 85 მეხანძრე-მაშველით. ჯგუფი აღჭურვილია თანამედროვე აკუსტიკური საშუალებებით, დრონებით, კავშირგაბმულობის მანქანითა და ყველა სახის შესაბამისი სპეციალური სამაშველო მოწყობილობით.

ქართველი მეხანძრე-მაშველების სამაშველო საქმიანობის კოორდინაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი პირადად ხელმძღვანელობს.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მიწისძვრის შედეგად სახლი დაზიანდა

ზიძრია დავლაძე 579 25 25 72

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ დაგვაში, აბაშიძეების საცხოვრებელ სახლს ბზარები მას შემდეგ გაუჩნდა, რაც რამდენიმე დღის წინ საქართველოში 4 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა დაფიქსირდა

ბიძგებმა დააზიანა საცხოვრებლის საყრდენი კედელი, კიბე და აივანი. ნინო აბაშიძის თქმით, სახლი მეწყერსაშიშ ზონაში მდებარეობს და იქ ცხოვრება ამ ეტაპზე საფრთხის შემცველია. მრავალწევრიან ოჯახს სხვაგან წასასვლელი არ აქვს, ამბობენ, რომ მიწისძვრის განმეორების შემთხვევაში საცხოვრებელი შესაძლოა კიდევ უფრო დაზიანდეს და ჩამოინგრეს.

- წლების წინ, როდესაც ტერიტორია გეოლოგებმა შეისწავლეს, აღნიშნეს, რომ ჩვენი კარმიდამო ნაწილობრივ მეწყერსაშიშ ზონაშია. ალბათ, მაშინ არ ჩათვალეს საჭიროდ რაიმე ტიპის ღონისძიებების გატარება, თუმცა ამ დროისთვის მდგომარეობა სავალალოა. დასკდა კედლები, კიბე, ოზურგეთთან ახლოს მოხდა მიწისძვრა და ჩვენთან საკმაოდ დიდი ბიძგები იყო, ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სახლი დაზიანებულიყო, - აღნიშნა ნინო აბაშიძემ.

აჭარის მთავრობა სტიქიის შედეგად დაზარალებულებს ფინანსურად ეხმარება. როგორც მთავრობაში განაცხადეს, ხანძრისა და სტიქიით დაზარალებულ 72 ოჯახს ფინანსური დახმარება უკვე გაეწია. სპეციალურად შექმნილ კომისიას შუამდგომლობები აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტის მერიების ხელმძღვანელებმა წარუდგინეს. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენას, მშენებლობას და რეაბილიტაციას მოხმარდება. აღნიშნული პროგრამა ისევ გრძელდება და როგორც ქობულეთის მერიაში განგვიცხადეს, საჭიროა მოქალაქის მხრიდან პრობლემის შესახებ მერიაში განაცხადის დატოვება. პრიორიტეტი სოციალურად დაუცველ ოჯახებს ენიჭებათ, კომისია კი ნებისმიერ შემთხვევაში შეისწავლის საკითხს და შესაბამის რეაგირებას ამის შემდეგ მოახდენს.

ამბები

USAID-ის პროგრამა – ბათუმში

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა, USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ეროვნულ დონეზე დეცენტრალიზაციის მხარდაჭერის კომპონენტის დირექტორ მარიამ გორგაძესთან ერთად, USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა ბათუმში ოფიციალურად წარადგინა. შეხვედრა ონლაინ ფორმატში გახსნა USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ხელმძღვანელმა კევინ მაკლოკლინმა.

შეხვედრას ბათუმის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიების მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, გაცნობდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს.

არჩილ ჩიქოვანი: - USAID-ის მხარდაჭერით დავიწყეთ ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის შემუშავება, რომლის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის ეკოსისტემაში ანგარიშვალდებულების გაძლიერება, საჯარო სერვისების მიწოდების გაუმჯობესება და საჯარო ადმინისტრირების რეფორმის განხორციელება. პროგრამა მოგვცემს შესაძლებლობას, უფრო ეფექტური გავხადოთ მუნიციპალიტეტის საქმიანობა და გავაუმჯობესოთ და განვავითაროთ როგორც არსებული, ასევე ახალი სერვისები. აღნიშნული რეფორმები მნიშვნელოვნად აისახება თითოეულ ბათუმელზე.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა დაეხმარება ბათუმის მუნიციპალიტეტს კერძო სექტორის დაინტერესებასა და ინვესტიციების მოზიდვაში, რაც პოზიტიურად აისახება ადგილობრივი თვითმმართველობის შემოსავლების ზრდაზე.

ახალი, 5-წლიანი პროგრამა, რომლის საერთო ბიუჯეტი 21 მილიონი ლარია, ხელს შეუწყობს საქართველოში მიმდინარე დეცენტრალიზაციის და საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებას, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის ეფექტიანობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას.

ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში, ურთიერთთანამშრომლობის სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად ბათუმის მერიაში ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გაიმართება.

ვისაც თურქეთში მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დახმარება სურს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

თურქეთსა და სირიაში მომხდარმა დამანგრეველმა მიწისძვრამ, რომელმაც ამ დროის მონაცემებით 41 000 ადამიანზე მეტი იმსხვერპლა, სოლიდარობის მიზნით არაერთი ადამიანი და ქვეყანა გააერთიანა

როგორც თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, ადგილობრივ მაშველებთან ერთად, სამძებრო სამუშაოებში მსოფლიოს 82 ქვეყნიდან 9046 მაშველია ჩართული, მათ შორის, ასამდე ქართველი, რომლებიც ქალაქ ადიამანში მუშაობენ. მსოფლიოს არაერთმა ქვეყანამ მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთათვის ჰუმანიტარული ტვირთი გააგზავნა, მათ შორისაა საქართველოც, რომელმაც დაზარალებული მოქალაქეებისთვის მედიკამენტების, საკვების, ტანსაცმლის, სამედიცინო აღჭურვილობის და სხვა საჭიროებების შესყიდვა-ტრანსპორტირების მიზნით, მთავრობის გადაწყვეტილებით, 1 მილიონი ლარი გამოყო. თურქეთში ჰუმანიტარული ტვირთი ეტაპობრივად იგზავნება ბათუმიდანაც. ამ დროისთვის ქალაქის ტერიტორიაზე რამდენიმე ჰუმანიტარული შტაბია გახსნილი: ბათუმის სტადიონი (გუდიაშვილის ქუჩა), „ლელოს“ ბათუმის ოფისი (ფარნავაზ მეფის ქუჩა №46), რესტორანი 90's Ocakbaşi (ნინოშვილის ქუჩა №3). თურქეთსა და სირიაში დაზარალებულთა დასახმარებლად მოქალაქეებს ასევე შეუძლიათ გადარიცხონ თანხა შემდეგ მისამართებზე: წითელი ჯვარი - https://bit.ly/3Y7SdC9 UNICEF-ი: https://bit.ly/3x5vLxN

აღნიშნული შტაბების წარმომადგენელთა თქმით, არ წყდება მოქალაქეების ნაკადი, რომლებსაც დაზარალებულთა დახმარება სურთ. „ლელოს“ ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელ გენო თებიძის თქმით, თურქი ხალხის დასახმარებლად შეგროვებული ჰუმანიტარული ტვირთის მეორე ნაწილი ბათუმში თურქეთის საკონსულოს დახმარების შტაბში გაიგზავნა, საიდანაც დახარისხებული პროდუქტი, ჰიგიენური საშუალებები, მედიკამენტები თუ ტანსაცმელი თურქეთში ეტაპობრივად იგზავნება.

- ჩვენ ვდგავართ მეგობარი ქვეყნების გვერდით. როცა უკრაინაში ომი დაიწყო, 26 თებერვალს გავხსენით ბათუმში უკრაინის დახმარების ჰუმანიტარული ცენტრი და თითქმის ერთი წელიწადია, ამ მიმართულებით ვმუშაობთ. თურქეთში დატრიალებული ტრაგედიის მეორე დღესვე, მეზობელი ქვეყნის დასახმარებლად გავერთიანდით, 7 თებერვალს თბილისსა და ბათუმში ამოქმედდა დახმარების შტაბები. 10 თებერვალს ბათუმიდან გაიგზავნა პირველი დახმარება თურქეთის მიმართულებით. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ თურქეთის გენერალურ საკონსულოსთან ბათუმში და მათ მიერ მოწოდებული ჩამონათვალის მიხედვით ვაგროვებთ ჰუმანიტარულ დახმარებას. ძირითადად, მოთხოვნა არის თბილ ტანსაცმელზე, საბნებზე, ჰიგიენურ საშუალებებზე, ბავშვთა კვებაზე, საფენებზე და ა.შ. დღეს უკვე ბათუმისა და ზუგდიდის ოფისებში დახარისხებულ ჰუმანიტარულ დახმარებას ვაგზავნით, ტრანსპორტირებას თურქეთის გენერალური საკონსულო უზრუნველყოფს. აქვე აღვნიშნავ, რომ ვმუშაობთ ყოველდღე, 11 საათიდან 17 საათამდე. დიდი მადლობა ბათუმელებს, თითოეულ ადამიანს, ვინც ამ ძნელბედობის ჟამს ეხმარება ჩვენს მეზობელ, მიწისძვრისგან დაზარალებულ თურქ მოქალაქეებს, - განაცხადა გენო თებიძემ.

თურქეთის გენერალურმა კონსულმა ბათუმში რიზა ქაადან ილმაზმა მხარდაჭერისა და თანადგომისათვის მადლობა გადაუხადა აჭარის მთავრობას და მოსახლეობას. მისი თქმით, აქტიურობენ როგორც საქართველოს, ასევე, ბათუმში მცხოვრები უკრაინის და თურქეთის მოქალაქეები. აქვე, გთავაზობთ იმ ნივთების ჩამონათვალს, რასაც განსაკუთრებით საჭიროებს დაზარალებული თურქი მოსახლეობა: ზამთრის ტანსაცმელი (ზრდასრულებისა და ბავშვებისთვის), სასურსათო კალათა (არამალფუჭებადი პროდუქტები), ბავშვთა კვება, ბავშვის ჰიგიენური საშუალებები, კარავი, საწოლი, ლეიბი (კარვისთვის), საბანი, საძილე ტომარა, გაზის გამათბობელი, ელექტროგამათბობელი, გაზის ბალონი, თერმოსი, ხელის სანათი, პორტატული დამტენი, გენერატორი.

რა გვჭირდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები იყო და არის ქვეყნის რეალური ვითარების განმსაზღვრელი. ამ ეტაპზე საქართველოს წინაშე აღორძინების მრავალასპექტიანი გზა იშლება

ყურადღება უნდა მივაპყროთ იმ გამოწვევებს, რომელთა გადაწყვეტა ჩვენს ეკონომიკას გააუმჯობესებს, ესაა ინფრასტრუქტურის გაჯანსაღების მობილური პროექტები, რომელთა განუხრელად დახვეწა და განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რას უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება? - სწორედ ამის თაობაზე გვესაუბრება ბსუ-ის მეორე კურსის მაგისტრანტი ეკონომიკის დარგში ***შოთა გაბაიძე.***

- ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე რისი თქმა შეიძლება?

- სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფის სფეროში საქართველოს მთავრობის პოლიტიკაა სოციალური დაცვის სისტემის შექმნით უზრუნველყოს ადამიანთა ღირსეული ცხოვრება და შრომის პირობები, შეამციროს მოსახლეობის სიღარიბითა და ხანდაზმულობით გამოწვეული სოციალური რისკები და ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ასევე სოციალური დახმარების პროგრამისთვის დახვეწოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია, გაუმჯობესდეს პროგრამების ადმინისტრირება, რითაც გაძლიერდება სოციალური ინტეგრაციის მენეჯმენტის სისტემა. აღნიშნული ღონისძიებები, ასევე, ხელს შეუწყობს სოციალური დახმარებების ეფექტიანობის ზრდას.

- ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის წლევანდელი ბიუჯეტი რა დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა?

- 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი გაცილებით უკეთ შეიძლება პასუხობდეს ქვეყნის უმთავრეს ინფრასტრუქტურულ და განათლების გამოწვევებს. რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5 პროცენტის ფარგლებში. იგეგმება ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ინფლაციაზე. საკითხავია, როგორ განვითარდება მოვლენები რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, ამიტომაც რთულია დასკვნების გამოტანა და პროგნოზი.

- გასული წლის მიწურულს სავალუტო ფონდმა 2023 წლისთვის საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებელი 5,8 პროცენტიდან 4 პროცენტამდე შეამცირა. ეს რისი მანიშნებელია?

- ხელისუფლებამ წელს მაღალი საბიუჯეტო შემოსავლები დეფიციტის შემცირებაზე მიმართა და ფისკალური წესის მოთხოვნის შესასრულებლად წელს ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას გეგმავს ფისკალური რესურსის გასაზრდელად, პრიორიტეტული ხარჯების გასაწევად და კაპიტალური ხარჯების ხარისხის გასაუმჯობესებლად. მნიშვნელოვანია საგადასახადო დანახარჯების შემცირება, საგადასახადო ადმინისტრირებისა და საჯარო ინვესტიციების მართვის გაუმჯობესება. ხელისუფლებამ სათანადო სამუშაოები შეასრულა სახელმწიფო საწარმოთა მმართველობითი რეფორმისა და განახლებადი ენერგიის რეფორმების მიმართულებით. ეს რეფორმები მნიშვნელოვანია ფისკალური რისკების შესამცირებლად.

- როგორც ცნობილია, ლარი მნიშვნელოვნად დასტაბილურდა სხვა ვალუტების მიმართ, როგორ იმოქმედა ამან ეკონომიკაზე და ინფლაცია რა ფაქტორებმა განაპირობა?

- კოვიდის შემდეგ პერიოდს თუ გადავხედავთ, ეკონომიკურ ზრდას შევამჩნევთ. არსებობს დაშვება, როდესაც ინფლაცია მაღალია, მაღალია უმუშევრობის დონეც, მაგრამ თუ გადავხედავთ შრომისუნარიანი ადამიანების დასაქმებების რაოდენობას, შევამჩნევთ, რომ იზრდება. მიუხედავად ამისა, არ არის ლარის სტაბილური კურსი. ეს, ალბათ, რუსეთ-უკრაინის ომითაა გამოწვეული. თუ ქვეყანაში იქნება ეკონომიკური ზრდა, თუ იგი არ ჩაერთვება საომარ მოქმედებებში, დიდი ალბათობაა, რომ ლარის კურსის სტაბილურობა შენარჩუნდეს.

- ბევრი ექსპერტი ფიქრობს, რომ ინვესტიციების 75 პროცენტი დედაქალაქსა და აჭარის რეგიონზე მოდის. რამდენად რეალურია მათი ვარაუდი?

- საქართველოს რეგიონები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, მათი განვითარების შესაძლებლობები საკმაოდ განსხვავებულია, ამიტომ, მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად საჭიროა ცალკეული რეგიონის განვითარების პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენება და რესურსების გადანაწილება. საქართველოს მოსახლეობა არათანაბრადაა განაწილებული რეგიონებში. მათი უმრავლესობა ცხოვრობს მუნიციპალურ ცენტრებში და ისეთ ტერიტორიებზე, სადაც ეკონომიკური აქტიურობის დონე შედარებით დაბალია. რეგიონების განვითარების დონეებს შორის უთანაბრობას ასევე, განაპირობებს მათი ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებები, სამრეწველო, ტურისტული, სასოფლო-სამეურნეო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების განსხვავებული დონე. ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ თბილისს მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნაში ნახევარზე მეტი წილი ეკუთვნის, რაც გვაძლევს დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ საქართველოს მოსახლეობის ხვედრი მკვეთრად არათანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია და აღნიშნული ვითარება სახელმწიფოს მხრიდან სერიოზულ მიდგომას საჭიროებს. საბოლოოდ ყველაფერი ასახვას პოულობს მოსახლეობის შემოსავლებში, მისი სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის დონეში.

- ისევ გააქტიურდა ანაკლიის პორტის თემა. მისი განხორციელება რა დივიდენდებს მოუტანს საქართველოს?

- პროექტის მთავარი მიზანი საქართველოს ისტორიული ფუნქციის დაბრუნებაა, მისი როგორც მთავარი დამაკავშირებელი რგოლის ევროპასა და აზიას შორის. საქართველო ახალი აბრეშუმის გზის სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვან მონაკვეთზე მდებარეობს. ესაა ყველაზე მოკლე მარშრუტი ჩინეთსა და ევროპას შორის. ანაკლიის პორტი პირველი ღრმაწყლოვანი პორტი იქნება საქართველოში - ჩვენი ქვეყნისა და მთელი რეგიონისთვის ეკონომიკური წინსვლისა და მდგრადი განვითარების გარანტი. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარებასთან ერთად მოიაზრება ქალაქ ანაკლიის განვითარებაც. ანაკლია სითი მიიღებს სპეციალური ეკონომიკური ზონის სტატუსს და ამის საშუალებით შეძლებს, განავითაროს საპორტო ინფრასტრუქტურა, რაც ათასობით ადამიანის დასაქმებას გულისხმობს. პორტის დასრულების შემდეგ, ანაკლია სასურველი ბიზნეს-ადგილმდებარეობა იქნება იმ საერთაშორისო კომპანიებისთვის, რომლებიც ქალაქის სტრატეგიული მდგომარეობით ისარგებლებენ.

- როგორც ცნობილია, მრავალ ქვეყანაში არსებობს სარეზერვო ფონდი, რომლითაც აუცილებლობის დროს ფინანსდება ეკონომიკა. ჩვენს ქვეყანაში თუ არსებობს ამგვარი მიდგომა?

- დიახ, საქართველოშიც არსებობს სარეზერვო ფონდები. იქმნება ორი ფონდი. ესენია საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები. კანონი განსაზღვრავს მათ მოცულობას. ორივე ფონდის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიურ ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯების 2 პროცენტს. იმისათვის, რომ სარეზერვო ფონდიდან ფული გამოვყოთ, უნდა არსებობდეს კონკრეტული წინაპირობა, ესენია: სტიქიური უბედურებები, ეპიდემიები, ეკოლოგიური და სხვა კატასტროფები. 2020 წელს გამოიყო სარეზერვო ფონდიდან თანხა კოვიდ-19-ით გამოწვეული მდგომარეობის გამო და მასთან საბრძოლველად გარკვეული ღონისძიებების დაფინანსებისთვის.

- დღეს მსოფლიოში ახალი ეკონომიკური რეალობაა, სამუშაო ადგილების უმრავლესობას ტექნოლოგიები ჩაანაცვლებს, რა გველოდება ამ მხრივ?

- მთავრობის ხედვა ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით ეფუძნება ახალ ინოვაციურ რეფორმებს ყველა სექტორული მიმართულებით, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკის სტრუქტურულ გაჯანსაღებაზე, პროდუქტიულობის ზრდაზე, ქვეყნის კონკრეტული უპირატესობების სრულად გამოყენებასა და შესაბამისად, სიღარიბის დაძლევაზე. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხედვა ეფუძნება თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, სადაც კერძო სექტორი ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. მთავრობისთვის მაღალ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი ხარისხობრივი მაჩვენებელიც. მაღალტექნოლოგიური ეკონომიკური ზრდა არის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში. მთავრობა მიზნად ისახავს ისეთი მოდელის დანერგვას, რომლის პირობებშიც, ეკონომიკური ზრდის პარალელურად, იზრდება ეკონომიკურ შესაძლებლობებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, მცირდება უმუშევრობა და სიღარიბე.

- წელს რა იქნება საქართველოს ეკონომიკის უმთავრესი გამოწვევა?

- ბოლო რამდენიმე წელია, რაც კოვიდპანდემია გამოჩნდა, ქვეყნის უმთავრეს ეკონომიკურ გამოწვევად ინფლაცია რჩება. მნიშვნელოვანია, ქვეყანამ გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ინფლაციის პრევენციას მოახდენს. პანდემიამ გვაჩვენა, რომ რესურსების მხრივ არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული უცხოურ საქონელზე, ამიტომაც სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა ისევ გამოწვევად რჩება ქვეყნის ეკონომიკისთვის.

- დაბოლოს, ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების გზას რაში ხედავთ?

- ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და აღორძინების გზა არის სასამართლო რეფორმა, ნატოში ინტეგრაცია, უცხოური ინვესტიცია, განათლების რეფორმების სწორად გატარება, სოფლის მეურნეობის მოწინავე, წარმატებულ დარგად გარდაქმნა, ჯანდაცვის გაძლიერება და სამედიცინო სფეროს უმაღლესი კადრებით დაკომპლექტება, სწორი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და სხვა.

„ხელისუფლებამ წელს მაღალი საბიუჯეტო შემოსავლები დეფიციტის შემცირებაზე მიმართა და ფისკალური წესის მოთხოვნის შესასრულებლად წელს ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას გეგმავს ფისკალური რესურსის გასაზრდელად, პრიორიტეტული ხარჯების გასაწევად და კაპიტალური ხარჯების ხარისხის გასაუმჯობესებლად. მნიშვნელოვანია საგადასახადო დანახარჯების შემცირება, საგადასახადო ადმინისტრირებისა და საჯარო ინვესტიციების მართვის გაუმჯობესება“

რუსეთი სავიზო რეჟიმს... ამარტივებს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა სახელმწიფო დუმაში გამოსვლისას განაცხადა, რომ რუსეთი 11 ქვეყანასთან უვიზო რეჟიმის შემოღებას გეგმავს, ხოლო კიდევ 6-თან - გამარტივებული წესით.

„სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე ვმუშაობთ. ახლა დაახლოებით, თერთმეტ ქვეყანასთან უკვე დაგეგმილია უვიზო მიმოსვლისთვის ხელმოწერა, კიდევ ექვსთან, თუ არ ვცდები, ინდოეთის, ინდონეზიით ჩათვლით - გამარტივებული პირობები, სრულიად მარტივი. არ დაგვავიწყდეს, რომ ვმუშაობთ დიდი რაოდენობით ქვეყნებისთვის ელექტრონული ვიზების გაცემაზე შეზღუდვების მოხსნაზე, იქ დაახლოებით 70 ქვეყანაა, გარდა არამეგობრულებისა, რომლებმაც შეწყვიტეს ჩვენთვის გამარტივებული წესით ვიზების გაცემა“, - განაცხადა ლავროვმა.

მან ასევე იმედი გამოთქვა, რომ შესაძლებელი გახდება რუსულ საგადასახადო სისტემა „მირთან“ დაკავშირებული პრობლემების მოგვარება.

ამირან გურიელიძე

უცხოეთი

ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგის განცხადებით, უკრაინაში გამანადგურებლების გაგზავნის გადაწყვეტილება ამჟამად არ არის ყველაზე გადაუდებელი საკითხი. როგორც მან აღნიშნა, ალიანსი უნდა ფოკუსირდეს იმ სამხედრო მხარდაჭერის მიწოდებაზე, რომლის ვალდებულებაც უკვე აიღო. „ახლა გადაუდებელი აუცილებლობაა, მივაწოდოთ ის, რასაც დავპირდით - ჯავშანტექნიკა, ქვეითთა საბრძოლო მანქანები, ტანკები“, - განაცხადა სტოლტენბერგმა.

* * *

უკრაინისთვის თვითმფრინავების გადაცემაზე საუბარი 3-4 თვეში იქნება შესაძლებელი, - განაცხადა გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ბორის პისტორიუსმა. მისი თქმით, უკრაინისთვის გამანადგურებლების გადაცემის საკითხი დღის წესრიგში არ დგას. „თუ უკრაინის ცა უსაფრთხო დარჩება შემდეგი სამი-ოთხი თვის განმავლობაში, მაშინ ყველა შემდგომ ნაბიჯებზე შეგვეძლება საუბარი. ახლა ჯავშანსატანკო ქვედანაყოფების გამოყენებას აქვს აზრი“, - განაცხადა პისტორიუსმა.

* * *

რუსეთმა ბალტიის ზღვაში ტაქტიკური ბირთვული იარაღით აღჭურვილი გემების განლაგება დაიწყო. აღნიშნულ ინფორმაციას ნორვეგიის დაზვერვის სამსახური ავრცელებს. „ატომური პოტენციალის ძირითადი ნაწილი განლაგებულია რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ ფლოტის გემებსა და წყალქვეშა ნავებზე“, - აღნიშნავს ნორვეგიის დაზვერვა და დასძენს, რომ ჩრდილოეთ ფლოტის ხომალდები ცივი ომის დროს რეგულარულად გადიოდნენ ზღვაში ბირთვული იარაღით, მაგრამ თანამედროვე რუსეთის ფედერაციამ ეს პირველად გააკეთა. ნორვეგიის დაზვერვა ასევე აღნიშნავს, რომ არ არის გამორიცხული, ადგილობრივი ომის ესკალაცია უფრო ფართო კონფლიქტში გადაიზარდოს შეერთებული შტატების, ნატოსა და ნორვეგიის მონაწილეობით.

* * *

თურქეთი არასდროს დაივიწყებს საერთაშორისო თანამეგობრობისგან მიღებულ დახმარებას, - განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა. „მსურს კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ყველა მეგობარ და მოძმე ქვეყანას, რომლებიც დღედაღამ აგროვებენ დახმარებას ჩვენი ქვეყნისთვის, მხარს უჭერენ ჩვენს სამძებრო-სამაშველო სამუშაოებს თავიანთი გუნდებით“, - განაცხადა ერდოღანმა. თურქეთსა და სირიაში დაღუპულთა საერთო რაოდენობამ 41 000-ს გადააჭარბა.

* * *

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გარკვეული განაჩენები აშკარად პოლიტიზებულია. „მიკერძოებულობა, როგორც არ უნდა იმართლონ თავი, ნებისმიერ შემთხვევაში აბსოლუტურად მიუღებელია სასამართლო ხელისუფლებისთვის, ამიტომაც, ფედერალური კანონებით, 2022 წლის 15 მარტის შემდეგ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები არ არის აღსასრულებელი რუსეთში“, - აღნიშნა ვლადიმერ პუტინმა.

მოამზადა
ია შველიძემ

როგორ დავწეროთ საგრანტო პროექტი და რა ნიუანსები გავითვალისწინოთ?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

დღეს მათთვის, ვისაც აქვს იდეა, სურს სხვადასხვა მიმართულებით ახალი ინიციატივები განახორციელოს, მოაგვაროს ამა თუ იმ მიმართულებით მათ ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემა და, ამავდროულად, გახდეს მოტივატორი სხვებისთვის, არაერთი შესაძლებლობა არსებობს. მათ შორისაა პროექტის დაწერა, რომელსაც საგრანტო კონკურსის ფარგლებში დონორი ორგანიზაციები აფინანსებენ. თუმცა, ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანს აქვს იდეა, მაგრამ არ იცის, როგორ დაწეროს პროექტი და წარმოაჩინოს პრობლემა, რომლის გადაჭრაც სურს. ამ საკითხებზე ეკონომისტ ***დავით არძენაძეს*** *ვესაუბრეთ, რომელიც 2007 წლიდან წერს პროექტებს და ამით არაერთ ადამიანსა თუ ორგანიზაციას ეხმარება. დავით არძენაძე, თავისი მრავალმხრივი გამოცდილებიდან გამომდინარე (მუშაობდა საკონსულტაციო ოფიცრის პოზიციაზე საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრში „კავკასია“, იგივე პოზიციაზე - საკონსულტაციო კომპანია „Darts Group“-ში , ახლა კი ე. წ. ფრილანსერია), ამბობს, რომ აღნიშნული მიმართულებით აუცილებელია საზოგადოების უფრო მეტი ინფორმირებულობა, რათა მათ დროულად მოახერხონ და გამოიყენონ ის შესაძლებლობა, რასაც სახელმწიფო და კერძო დონორები სთავაზობენ.*

- დიდი ხანია წერთ ბიზნეს-პროექტებს და ეხმარებით სხვებსაც. ამ გადასახედიდან, რა გამოწვევებსა და ტენდენციებზე შეგიძლიათ ყურადღების გამახვილება?

- დღეს საქართველოში ბიზნესის დაწყება საკმაოდ მარტივია, მსოფლიო ბანკ Doing Business-ის მონაცემებით, ბიზნესის დაწყების სიმარტივით საქართველო მსოფლიო რეიტინგში მეორე ადგილზეა (საერთო რეიტინგით - მეშვიდე ადგილზე), რაც მეტწილად განპირობებულია ძალიან დაბალი ბიუროკრატიული ბარიერებითა და ბიზნესის რეგისტრაციის სწრაფი პროცედურებით. თუმცა, რეგისტრირებული ბიზნესების დიდი ნაწილი, სხვადასხვა მიზეზის გამო, ფუნქციონირებას რამდენიმე წელში აჩერებს. ბოლო პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები გამოიყო როგორც ბიზნესის დაწყების, ასევე, არსებულის განვითარების ხელშესაწყობად. აქ იგულისხმება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსები. თუ დავაკვირდებით ტენდენციას, შეიძლება ითქვას, რომ ადრე დონორ ორგანიზაციებს უწევდათ დიდი ძალისხმევის და რესურსის დახარჯვა, რომ მიზნობრივი ჯგუფები დაერწმუნებინათ დაფინანსების მიღების რეალურ შანსებში (მოსახლეობაში საკმაოდ მაღალი იყო სკეპტიკური დამოკიდებულება მსგავსი პროექტების მიმართ), დღეს კი დაფინანსების მიღების მსურველთა აქტიურობა საკმაოდ მაღალია და კონკურენციაც გაზრდილი. შესაბამისად, დონორ ორგანიზაციებს უფრო დიდი ძალისხმევა სჭირდებათ სწორი ბენეფიციარის შესარჩევად.

- ისინი, ვისაც სურთ ბიზნეს-პროექტის დაწერა და სხვადასხვა ორგანიზაციის დაფინანსების მიღება, რა ინფორმაციას უნდა ფლობდნენ, ვიდრე პროექტის წერას დაიწყებენ?

- თუ მოქალაქეს სურს დაფინანსების მოპოვება, უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა ფაქტორი, კერძოდ, აუცილებელია დეტალურად გაეცნოს დამფინანსებელი/დონორი ორგანიზაციის მოთხოვნებს. საგრანტო პროგრამებს თან ახლავს მსგავსი სახის სახელმძღვანელო, რომელშიც დეტალურად წერია, ბიზნესის რომელი მიმართულება ფინანსდება, ან არ ფინანსდება, რამდენია გრანტის და თანადაფინანსების მოცულობა, რა ტიპის ხარჯების დაფინანსება არის შესაძლებელი გრანტით, რა იურიდიული სტატუსი უნდა ჰქონდეს ბიზნესს... ხშირ შემთხვევაში, დაფინანსების მაძიებელი არ კითხულობს ამ დოკუმენტს, რის გამოც მისი განაცხადი ტექნიკური გადარჩევის ეტაპს ვერ გადის და ხარვეზდება. სასურველია, დაფინანსებით შესასყიდი საქონლის მომსახურების ფასების და ტექნიკური მახასიათებლების წინასწარ მოძიება. დაფინანსების მაძიებელმა პროექტი უნდა ჩამოაყალიბოს ნაფიქრი იდეის მიხედვით. თუ განმცხადებელს დეტალური წარმოდგენა არ აქვს იდეაზე და მის განხორციელებაზე, ეს აუცილებლად გამოიკვეთება შერჩევის სხვადასხვა ეტაპზე და პროექტი დახარვეზდება. მან თავად უნდა შეავსოს ბიზნესიდეის და ბიზნესგეგმის ფორმები და საჭიროების შემთხვევაში, დახვეწოს მიზნით მხოლოდ ამის შემდეგ მიმართოს გამოცდილ ექსპერტებს. თუ ბიზნესგეგმა არ არის განმცხადებლის მიერ ან მისი ჩართულობით დაწერილი, გასაუბრების ეტაპზე აუცილებლად გამოჩნდება და ბენეფიციარის მიმართ უნდობლობას გააჩენს. მიმაჩნია, რომ ბიზნესგეგმა უნდა იყოს ბიზნესმენის სამაგიდო სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც მხოლოდ დაფინანსების მოსაპოვებლად და თაროზე შემოსადებად არ უნდა იყოს გამოყენებული.

- ვისაუბროთ დონორი ორგანიზაციების მოთხოვნებზე. რა ბარიერებს აწყდებიან, მაგალითად, სოფლად მცხოვრებნი, რომლებსაც აქვთ იდეა, კარგად აქვთ განსაზღვრული პროექტის მიზანი და სურთ დაფინანსება?

- დაფინანსების გაცემის დროს განსხვავებულია დონორი ორგანიზაციების მოთხოვნები. შესაბამისად, კარგად უნდა გვქონდეს განსაზღვრული, თუ რა არის დონორი ორგანიზაციის მთავარი მიზანი, რისთვის გვაფინანსებს და რატომ ხარჯავს ფინანსურ რესურსს. რიგ შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს კონკრეტული მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერება, რიგ შემთხვევაში - ტერიტორიული ერთეულის განვითარება, ზოგჯერ - ადგილობრივი წარმოების გაზრდით იმპორტის ჩანაცვლება და სხვა. მაგალითად, თუ დონორი გვიფინანსებს რძის გადამამუშავებელი საწარმოს ბიზნესიდეას, მისი მთავარი მიზანი შეიძლება იყოს არა კონკრეტულად ჩვენი ბიზნესის წარმატება, არამედ ჩვენი ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირებით მუნიციპალიტეტში მერძევეობის დარგის და მცირე ფერმერების განვითარება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, ბიზნესგეგმის დაწერის დროს აქცენტს თუ გადავიტანთ იმაზე, რომ გავაკეთებთ საკუთარ ფერმას და მხოლოდ საკუთარი რძის გადამუშავებით დავკავდებით, დონორისთვის ნაკლებად საინტერესო ვიქნებით. რაც შეეხება ბარიერებს, რომლებსაც აწყდებიან დაფინანსების მსურველი, სოფლად მცხოვრები ადამიანები, შემდეგია: რიგ დონორ ორგანიზაციებს აქვთ საკმაოდ რთული ბიზნესგეგმის ფორმა, რომლის დამოუკიდებლად შევსება განმცხადებელს უჭირს (განსაკუთრებით - ფინანსური გეგმის), ხოლო სოფლებში ნაკლებად არიან ექსპერტები, რომლებიც კვალიფიციურ კონსულტაციას და დახმარებას გაუწევენ მათ. ონლაინგანაცხადების გაგზავნის შემთხვევაში, ხშირია ინტერნეტზე წვდომის და კომპიუტერული უნარების ფლობის პრობლემა (ძირითადად, 50+ ასაკის ადამიანებში); საჭირო თანდართული დოკუმენტაციების შეგროვება - ხშირ შემთხვევაში დანართების ჩამონათვალი აშინებთ ბენეფიციარებს და უჭირთ მათი მოძიება (მაგ. ცნობა დავალიანების შესახებ, განახლებული ამონაწერები, აუდიტის დასკვნა და ა.შ.).

- არაერთი საგრანტო პროექტი განხორციელდა როგორც სოფლად, ასევე ქალაქში, ბევრმა ოჯახმა ეკონომიკური სარგებელი ნახა ამ ყველაფრისგან, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, დაფინანსებული პროექტების გარკვეულმა ნაწილმა არ გაამართლა. არის შემთხვევები, როცა მეპატრონე ყიდის ფართს, დანადგარს... ამ მხრივ სად ხედავთ პრობლემას და რას მიიჩნევთ მისი გადაჭრის გზად?

- ზოგადად, ახალდაფუძნებული ბიზნესების სიცოცხლისუნარიანობა ქვეყანაში საკმაოდ დაბალია, რაც შეეხება დაფინანსებული ბიზნესების სიცოცხლისუნარიანობას, დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: გრანტის მიმღების არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, მიღებული თანხის არამიზნობრივი გამოყენება. არის შემთხვევები, როდესაც ბენეფიციარი ცდილობს, მიიღოს დაფინანსება არა ბიზნესის განვითარების, არამედ ფულის „გათეთრების“ მიზნით, კერძოდ, საინვესტიციო ბიუჯეტში უთითებს ისეთი ძირითადი საშუალებების შესყიდვას, რაც მას უკვე აქვს. გრანტის მიმღებთა ნაწილი თავიდანვე ისე აგზავნის განაცხადს, რომ არ გრძნობს მაღალ პასუხისმგებლობას და რისკს. ხშირად სვამენ კითხვას: „თუ არ ან ვერ შესრულდება ბიზნესგეგმაში დაწერილი აქტივობები, რა პასუხისმგებლობა დაეკისრება მას“. გრანტის მიმღების პასუხისმგებლობა, მაქსიმუმ, შემოიფარგლოს გრანტით შესყიდული ძირითადი საშუალებების ჩამორთმევით (ესეც გამონაკლის შემთხვევაში), რაც მათთვის ძალიან დაბალი რისკია; ბიზნესის მართვის დაბალი უნარები - შეიძლება გრანტის მიმღებმა კარგად იცოდეს კონკრეტული პროდუქტის წარმოება, მაგრამ არ ჰქონდეს ბიზნესის მართვის და გაყიდვების უნარები, შესაბამისად, ვერ ახდენს წარმოებული პროდუქტის რეალიზაციას; არასწორად განსაზღვრული ბიუჯეტი - მიღებული გრანტი და თანადაფინანსების თანხა თუ არ არის სწორად გათვლილი და არასაკმარისია ბიზნესის სრულფასოვანი დაწყება-ფუნქციონირებისათვის, განმცხადებელს უწევს დამატებითი სახსრების მოძიება, რაც ან ვერ ხერხდება, ან დროშია გაწელილი და საბოლოო ჯამში, უარყოფითად მოქმედებს ბიზნესზე. ზემოჩამოთვლილი რისკების დაზღვევის მიზნით, აუცილებელია: სწორად შეირჩეს ბენეფიციარი, ჩატარდეს წინასწარი მონიტორინგი ბიზნესის განხორციელების ადგილზე, შემოწმდეს ყველა ის აქტივი, რაც ბენეფიციარს უკვე აქვს. შესწავლილი უნდა იყოს განმცხადებლის მოტივაცია და მინიმუმამდე დაყვანილი თანხის მიღების შემდეგ მისი არამიზნობრივი გამოყენება. უნდა განხორციელდეს დაფინანსების შემდგომი მონიტორინგი და პროცესშივე უნდა განისაზღვროს რისკები, რაც საფრთხეს შეუქმნის დაფინანსებული ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობას. პარალელურად, ექსპერტთა ჯგუფი უნდა ცდილობდეს, მონიტორინგის განხორციელების პროცესში გაუწიოს მათ კვალიფიციური კონსულტაცია-დახმარება. აუცილებელია დაფინანსების მიმღებთა კვალიფიკაციის და საჭიროების შესწავლა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად ცოდნის პერმანენტული მიწოდება. სასურველია, გრანტით შესყიდული ძირითადი საშუალებები მონიტორინგის დასრულებამდე იყოს დონორი ორგანიზაციის საკუთრებაში და მხოლოდ ამის შემდეგ (თუ ბენეფიციარი კეთილსინდისიერად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს) გადაეცეს ბენეფიციარს საკუთრებაში.

- დამფინანსებელი ორგანიზაციები თუ ახდენენ პროექტის შემდგომ მონიტორინგს?

- ყველა დონორი აწარმოებს გრანტის ხარჯვის პროცესის, ასევე, შემდგომში ბიზნესგეგმით განსაზღვრული აქტივობების მონიტორინგს. მონიტორინგის ვადა ყველა დონორ ორგანიზაციას განსხვავებული აქვს (მერყეობს 1-დან 3 წლამდე). გამომდინარე იქიდან, რომ მონიტორინგი მოითხოვს საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსს, შეზღუდულია ვადაში, თუმცა, 2 წელი საკმარისი დროა როგორც პროცესზე დაკვირვებისთვის, ასევე, ახალი ბიზნესების ინკუბაციისთვის.

ცნობისთვის: *უახლოეს პერიოდში დაიწყება როგორც „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, ასევე აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგრანტო პროგრამა „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“.*

> *„რაც შეეხება დაფინანსებული ბიზნესების სიცოცხლისუნარიანობას, დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: გრანტის მიმღების არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, მიღებული თანხის არამიზნობრივი გამოყენება. არის შემთხვევები, როდესაც ბენეფიციარი ცდილობს, მიიღოს დაფინანსება არა ბიზნესის განვითარების, არამედ ფულის „გათეთრების“ მიზნით, კერძოდ, საინვესტიციო ბიუჯეტში უთითებს ისეთი ძირითადი საშუალებების შესყიდვას, რაც მას უკვე აქვს“*

ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია სამართლებრივ ღონისძიებებს ახორციელებს

დარინა ბაბაიძე 514 22 22 80

არასათანადო რეკლამის განთავსების, რეკლამის დაკვეთის, წარმოებისა და გავრცელებისთვის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტზე სამართლებრივი ღონისძიებები მიმდინარეობს

აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო სურვილის შემთხვევაში - უცხოურ ენაზეც. უცხოენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას.

დარღვევის დაფიქსირების შემდეგ დგება სამართალდარღვევის ოქმი და იწყება ადმინისტრაციული სამართალწარმოება. სასამართლოს გადაწყვეტილებით კი ფიზიკური პირი - 500 ლარით, იურიდიული პირი 3000 ლარით ჯარიმდება. იგივე ქმედება, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში ასეთი ქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი, გამოიწვევს დაჯარიმებას 5 ათასი ლარის ოდენობით.

შარშან სანებართვო პირობების დარღვევითა და უნებართვოდ განთავსებული 238 სარეკლამო ბანერისა და კონსტრუქციის დემონტაჟი განხორციელდა.

ლიფტის ჩავარდნის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა

„ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, ბათუმში, აღმაშენებლის ქუჩის ახალ კორპუსში ლიფტის ჩავარდნის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა. როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში სააგენტოს განუცხადეს, დაშავებულები ბათუმის კლინიკებში არიან გადაყვანილი: ერთი პაციენტი - კლინიკა „ბრაზერში“, ხოლო ორი - სამედიცინო ცენტრში.

შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები უბედური შემთხვევის გამომწვევ მიზეზს იკვლევენ.

ამირან გურიელიძე

ახალგაზრდა – ახალგაზრდების გამოწვევებზე

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ქვეყნის განვითარებას, წინსვლასა და წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს განსწავლული, თვითრეალიზებული და კრეატიული ახალგაზრდობა, მათი განათლებისა და დასაქმებისთვის გატარებული რეფორმები, რითაც ახალგაზრდას თავისი უნარ-ჩვევების განავითარების შესაძლებლობა მიეცემა. მართლია, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, თუმცა პრობლემები მაინც საკმაოდ რჩება, რასაც თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს. ცხადია, საბედნიეროდ, ბევრი ახალგაზრდა გვყავს, რომელიც უმნიშვნელოვანეს აქტივობებს ახორციელებს ქვეყნის საკეთილდღეოდ. ერთ-ერთი მათგანია ახალგაზრდული სფეროს ექსპერტი **ნინო გოგოხია,** *რომელიც 2021-22 წლებში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი იყო გაეროში, რაც მრავლისმთქმელი და საამაყოა.*

- როგორც ახალგაზრდობის სფეროს ექსპერტს, მინდა, გკითხოთ: რა შეიცვალა და როგორ ვითარდებოდა ეს სფერო წლების განმავლობაში საქართველოში?

- ცხადია, ახალგაზრდობა მუდმივად განახლებადი რესურსია. მასთან ერთად ეს სფეროც მუდმივად ვითარდება და იხვეწება, საკითხები კი, რომლებსაც ახალგაზრდული საქმიანობა მოიცავს, საკმაოდ მრავალფეროვანია. სხვადასხვა ქვეყანაში ეს საქმიანობა განსხვავებული ფორმითაა გამოხატული. არის ქვეყნები, რომელთაც ახალგაზრდული საქმიანობის ხანგრძლივი ტრადიციები აქვთ, ზოგან ახალგაზრდული საქმიანობა წარმოდგენილია, როგორც სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ნაწილი და იგი პრაქტიკულად დგას დასაქმების, სოციალური ჩართულობისა და სოციალური დახმარების სამსახურში, ზოგან კი მასში ჩართული პირები მუშაობენ მოხალისე ლიდერებად. საქართველოში გამოვყოფდი ახალგაზრდული მუშაკის პროფესიის დანერგვასთან დაკავშირებულ პროგრესს. ეს პროფესია განვითარების პროცესშია და ნელ-ნელა იწყებს დამკვიდრებას. თავისი შინაარსით ის დიდი მნიშვნელობის მატარებელია ახალგაზრდებითვის. მისი მეთოდოლოგია ეფუძნება ევროკავშირის ქვეყნების წარმატებულ გამოცდილებას, რომლითაც ისინი ბოლო ათწლეულებია, ხელმძღვანელობენ. კარგია, რომ საქართველოც იზიარებს მათ გამოცდილებას და ამ მხრივ დგამს ნაბიჯებს.

- რა სხვაობაა დღევანდელ და თუნდაც 90-იანი წლების ახალგაზრდებს შორის?

- ყველაზე დიდი განსხვავება დაკავშირებულია განათლებასთან, ტექნოლოგიებთან, ცხოვრების წესსა და კომუნიკაციებთან. დღევანდელი ახალგაზრდობა გაცილებით სწრაფად ვითარდება. ამაში საგრძნობლად გვეხმარება ციფრული ტექნოლოგიები, რაც გვიმარტივებს ინფორმაციის მიღების, გადამუშავებისა და გაზიარების პროცესს. დღეს გაცილებით მარტივი და ხელმისაწვდომია ახალი უნარებისა და კომპეტენციების შეძენისა თუ განვითარების პროცესიც. დღევანდელმა თაობამ იცის, რომ გადარჩენისა თუ წინსვლისთვის აუცილებელია ბევრი სხვადასხვა უნარის და, მათ შორის, პროფესიის ფლობაც, რაც კიდევ უფრო ადაპტირებადს ხდის.

- ექვსი წელია, ახალგაზრდულ სფეროში ხართ ჩართული, ასევე საერთაშორისო კუთხითაც, როგორც ვიცი, თქვენი სამაგიდო ნაშრომი ახალგაზრდობის საქართველოში ყოფას ასახავდა...

- ბოლო ექვსი წელია, ახალგაზრდობის სფეროში აქტიურად ვარ ჩართული. ჩემი სამაგისტრო კვლევაც საქართველოში ახალგაზრდული ორგანიზაციების მდგომარეობას შეეხებოდა. მისი მიზანი იყო გამეგო, არის თუ არა ახალგაზრდული ორგანიზაციები საქართველოში მდგრადი და თანმიმდევრულად უწყობს თუ არა ფეხს სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიას, რაც გულისხმობდა მათი რესურსებისა და განხორციელებული აქტივობების მოკვლევასა და გამოწვევების განსაზღვრას. შესაბამისად, კვლევის ამოცანა იყო, გამეგო, რაა ახალგაზრდული ორგანიზაციების ყველაზე სერიოზული გამოწვევები და რა ფაქტორები განაპირობებს ამ ორგანიზაციების მდგრადობას. კვლევამ გამოავლინა, რომ მათი უდიდესი გამოწვევაა ფინანსური რესურსების მოძიება და მართვა. ორგანიზაციების გამოცდილებასთან ერთად, იზრდება მათი ფინანსური მდგრადობაც. აღნიშნული კვლევა თავისთავად სიახლეა ქართული რეალობისთვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდული ორგანიზაციების ანალიზი ორგანიზაციული განვითარების თეორიებისა და მართვის თანამედროვე სტანდარტების მიხედვით. ეს კვლევა ჩემთვის ძალიან ორგანული იყო, რაშიც დამეხმარა როგორც ამ სფეროსადმი უსაზღვრო სიყვარული, ასევე დაგროვილი გამოცდილება, რაც გასული წლების განმავლობაში მივიღე, მათ შორის საერთაშორისო ახალგაზრდულ ორგანიზაციაში 5-წლიანი მუშაობისა და ასევე, 2021-2022 წლებში გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის მანდატის ფლობის დროსაც.

- ატარებთ ტრენინგებს, ვორქშოფებს, ეხმარებით ახალგაზრდებს თვითგანვითარებაში...

- ახალგაზრდებთან ურთიერთობა ენერგიით მავსებს. მიყვარს, როცა ცოდნას თუ გამოცდილებას სხვებსაც ვუზიარებ. ტრენინგებს ვატარებ როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ორგანიზაციული მართვის, ლიდერობისა და პიროვნული განვითარების მხრივ საკმაოდ დიდი პრაქტიკული და აკადემიური გამოცდილებიდან გამომდინარე, უმეტესად ამ თემებზე მიწევს ტრენინგებისა და ვორქშოფების ჩატარება. ამასთანავე, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდების უკუკავშირი და მუდმივად ვმუშაობ განვითარებასა თუ საგანმანათლებლო პროგრამა კურიკულუმის დახვეწაზე, რათა ერთი და იგივე თემა ყოველთვის განსხვავებულად მივიტანო მსმენელამდე.

- დღეს ახალგაზრდები ბევრ კითხვას სვამენ. ძირითადად რა აინტერესებთ მათ?

- ყველაზე მეტად მახარებს ის, რომ დღეს ახალგაზრდები აქტიურად სვამენ კითხვას „რატომ?“, უფრო მეტად არიან ორიენტირებულები თვითგამორკვევასა და შემდეგ - თვითგამოხატვაზე, ამ პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა სწორედ „რატომ?“ არის. მიხარია, რომ მეტ დროს ვუთმობთ რეფლექსიას, ღირებულებების თაობაზე ჩვენი შეხედულებების მტკიცედ ჩამოყალიბებას, რაც შემდეგ ნებისმიერ სფეროში გვიმარტივებს გზის გაკვალვასა და გადაწყვეტილებების მიღებას.

- მენტალური გამოწვევა რამდენად აქტუალურია ამ სეგმენტისთვის?

- განსაკუთრებით პანდემიისა და ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, მენტალური ჯანმრთელობა დღეს ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს. ერთის მხრივ პანდემიამ სრულიად ამოატრიალა ჩვენი ყოველდღიურობა, რამაც განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდებზე, განათლების მიღების ფორმებსა და მის ეფექტიანობაზე, სოციალურ აქტიურობასა და კომუნიკაციის უნარებზე. ამგვარად, ჩვენ, როგორც პანდემიის თაობა, საკმაოდ მწვავედ განვიცდით მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მეორე მხრივ, ჩვენ ვართ „ციფრული თაობაც“. ამას როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გავლენაც აქვს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზიზღის ენა და ბულინგი ტექნოლოგიების წყალობით უფრო მარტივად, სწრაფად და საკმაოდ მასშტაბურადაც ვრცელდება. უნდა გავიაზროთ, რომ ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა თანაბრად მნიშვნელოვანია და დღეს კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ მენტალურ ჯანმრთელობას.

- მოტივირებულ ახალგაზრდებს სასურველ შედეგამდე მისვლის რა შესაძლებლობები აქვთ საქართველოში?

- შესაძლებლობა მრავლადაა როგორც სკოლის მოსწავლეებისთვის, ასევე სტუდენტებისთვისა და ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის, თუმცა რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებამდე ყველა ამ შესაძლებლობის მიწოდება და მათი აქტიური ჩართულობა ჯერ კიდევ გამოწვევაა. ისევ მივდივართ ინდივიდებამდე, ცნობისმოყვარეობისა და თვითმოტივაციის უნარებამდე. დღეს თუ გინდა განვითარდე და სიახლეებს არ ჩამორჩე, თავად უნდა დასვა კითხვები, უნდა იაქტიურო და მოიძიო შესაძლებლობები. დადებითი მხარე კი ამ პროცესში ყველა შესაძლებლობის ხელმისაწვდომობაა ციფრულ სივრცეში. გამოვყოფდი პროექტის, „უნარები წარმატებისთვის“ ფარგლებში შექმნილ ახალგაზრდული შესაძლებლობების ონლაინპლატფორმას - https://youthplatform.gov.ge, სადაც თავმოყრილია საგანმანათლებლო, ტრენინგის და დასაქმების ის შესაძლებლობები, რომლებსაც ახალგაზრდებს როგორც მთავრობა, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები თუ საერთაშორისო პარტნიორები სთავაზობენ. ასევე, ბევრ შესაძლებლობას სთავაზობს ახალგაზრდებს ევროკავშირი EU4Youth Tu EU4-Business პროგრამების ფარგლებში. ახალგაზრდები აქტიურად იყენებენ Erasmus+ პროგრამებს მრავალფეროვანი გამოცდილების მისაღებად. თავად, დიდ რეკომენდაციას ვუწევ საერთაშორისო ახალგაზრდულ ორგანიზაცია AIESEC-ს, რომელიც ახალგაზრდებს ეხმარება სხვადასხვა პერსონალური უნარების განვითარებაში.

- ქვეყნის ქალაქებსა და რეგიონებში არის თუ არა მოწყობილი ისეთი სივრცეები, სადაც შესაძლებელია ახალგაზრდული შეხვედრები?

- უცხოელ ახალგაზრდებთან აქტიურად მიწევს მუშაობა 2017 წლიდან ახალგაზრდულ ფორუმებსა და კონფერენციებზე, ასევე ახალგაზრდულ ორგანიზაციათა სტრატეგიულ განვითარებაზე კონსულტირების დროს. რასაკვირველია, გაეროში საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლის მანდატის ფარგლებშიც ბევრი უცხოელი კოლეგა გავიცანი და დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ - ციფრული თაობის ახალგაზრდებს გაცილებით მეტი გვაქვს საერთო, ვიდრე განსხვავება, თუმცა ერთი, რაც განგვასხვავებს ქართველ ახალგაზრდებს უცხოელებისგან, არის მომეტებული ბრძოლისუნარიანობა და ინიციატივის გამოჩენის დიდი უნარი, რაც ბევრ სხვა ევროპულ ქვეყანაში არ შემიმჩნევია. მეამაყება ჩვენი ძალიან გონიერი და მოაზროვნე ახალგაზრდობა. შეიძლება სხვებთან შედარებით გაცილებით მეტის გავლა და შრომაც გვიწევდეს, მაგრამ მოცემულ რეალობაში სხვაგვარი დამოკიდებულება შეუძლებელიცაა.

- ახალგაზრდები უფრო მეტად რომ ჩაერთონ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, რა არის საჭირო?

- პირველ რიგში - სურვილი და მერე - ამის რეალური შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ „ახალგაზრდების ეროვნული კვლევის“ თანახმად, მათი შემაშფოთებლად დაბალი ჩართულობა ფიქსირდება საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალგაზრდებს შეზღუდული ცოდნა აქვთ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. მათ უმეტესობას (90,4%) მიაჩნია, რომ უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, თუმცა მხოლოდ 10,9% მონაწილეობს რეალურად. ეს თავისთავად გამოწვევაა. ორგანიზებული და თანმიმდევრული ნაბიჯებია გადასადგამი ახალგაზრდების ჩართულობისა და მონაწილეობის პოლიტიკის განსავითარებლად.

- ამ ეტაპზე რა პრიორიტეტები მიგაჩნიათ უმთავრესად და როგორია თქვენი ჩართულობა მათ რეალიზებაში?

- ისევე, როგორც ნებისმიერ სფეროს, ახალგაზრდობის სფეროსაც სჭირდება თანმიმდევრული სტრატეგია და შესაბამისი კოორდინირებული ნაბიჯები, ამ ეტაპზე უმთავრესია, არ მოხდეს წყვეტა, პროცესში სხვადასხვა სექტორის ჩამორჩენა და დაგროვილი რესურსების გაბნევა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე სხვა სფეროში ვმუშაობ, ახალგაზრდულ სფეროშიც ვრჩები. ვეხმარები ახალგაზრდულ ორგანიზაციებს სტრატეგიულ განვითარებასა და კომუნიკაციებში. ამასთანავე, ვარ გაეროში ახალგაზრდობის წარმომადგენელთა ალუმნი ასოციაციის სტრატეგიული კომუნიკაციების ხელმძღვანელი. ამ მხრივაც ვცდილობ ჩემი წვლილის შეტანას არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი ახალგაზრდების განვითარებაში.

- დაბოლოს, რომელი ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტა მიგაჩნიათ თანამედროვე პირობებში ყველაზე საჭიროდ?

- რთულია ამ კითხვაზე ერთი პასუხის მოძებნა, მაგრამ მოცემულ რეალობაში, როცა დასაქმება, ფინანსური სტაბილურობა და რაც მთავარია, იმ საქმის კეთება, რაც გვაბედნიერებს, ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება, ერთ რჩევას მივცემდი ყველას: დაეუფლეთ რამდენიმე პროფესიას. ვფიქრობ, იმისათვის, რომ ასაკის მატებასთან ერთად ჩვენი პროდუქტიულობაც გაიზარდოს, მუდმივად სწავლა და კვალიფიკაციის ამაღლება გვჭირდება. განსაკუთრებით მაშინ, როცა ეკონომიკურად სწრაფად ცვალებად გარემოში ვცხოვრობთ, სადაც სამუშაო გარემოს სტაბილურობის გარანტია არ არსებობს. ეს პანდემიამაც მშვენივრად დაგვანახა. ამრიგად, თუ შენს საქმიანობაში ვეღარ ვითარდები და ყოველი დღე რუტინად გაქვს ქცეული, დროა დაიწყო ახალი უნარების, ახალი პროფესიის დაუფლება. ყველას შეგვიძლია ჩვენი საქმიანობის პარალელურად დამატებითი პროფესია ავითვისოთ. ეს, ერთი მხრივ, ჩვენს ყოველდღიურობას კიდევ უფრო მრავალფეროვანს გახდის, გაგვაბედნიერებს და, რასაკვირველია, შემოსავალზეც დადებითად აისახება. მაგალითისთვის: დღეს მე სრულ განაკვეთზე ვმუშაობ საჯარო სამსახურში. პარალელურად ვეწევი აკადემიურ საქმიანობასაც. ვატარებ ტრენინგებს, გრაფიკული დიზაინისა და მარკეტინგის მხრივ კომპანიებს ვეხმარები ბრენდის განვითარებასა და მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვა-განხორციელებაში. ასე რომ, ისწავლეთ, შეიმეცნეთ და დაეუფლეთ რამდენიმე პროფესიას.

> *„ახალგაზრდების ეროვნული კვლევის“ თანახმად, მათი შემაშფოთებლად დაბალი ჩართულობა ფიქსირდება საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალგაზრდებს შეზღუდული ცოდნა აქვთ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. მათ უმეტესობას (90,4%) მიაჩნია, რომ უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, თუმცა მხოლოდ 10,9% მონაწილეობს რეალურად*

ფულადი გზავნილები – საქართველოში...

ამა წლის იანვარში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობამ 445 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 163,5%-ით მეტია 2022 წლის იანვრის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 60,1%-ით პირველ ადგილზე კვლავ რუსეთია - იანვარში ამ ქვეყნიდან 267,6 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 1 096%-ით (!) მეტია. 2023 წლის პირველ თვეში გადმორიცხვების მიხედვით უმსხვილესი ქვეყნების ათეული შემდეგნაირია: რუსეთი - 268 მლნ დოლარი (ზრდა წინა წელთან შედარებით - 1096%); იტალია - 40 მლნ (ზრდა - 19%); აშშ - 29 მლნ (ზრდა - 41%); საბერძნეთი - 18 მლნ (ზრდა - 7%); ისრაელი - 17 მლნ (ზრდა – 15%); გერმანია - 14 მლნ (ზრდა – 62%); ყაზახეთი - 9 მლნ (ზრდა – 32%); თურქეთი - 8 მლნ (ზრდა – 26%); ყირგიზეთი - 5 მლნ (ზრდა – 60%); ესპანეთი - 4 მლნ დოლარი (ზრდა – 5%).

რაც შეეხება საქართველოდან გადარიცხვებს, საქართველოს ეროვნული ბანკის ცნობით, ამა წლის იანვარში საზღვარგარეთ 26,3 მლნ აშშ დოლარი (70,3 მლნ ლარი) გადაიგზავნა, რაც შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს 12.7%-ით აღემატება.

ამირან ბურიელიძე

ნაილა ჩელებაძე: ქართველოლოგიით ჩემი დაინტერესება ოჯახიდან დაიწყო

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ცნობილი ქართველოლოგი, ეთნოლოგი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის აქტიური მკვლევარი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, საქართველოს სპატრიარქოს წმინდა აბუსერისძე ტბელის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი ***ნაილა ჩელებაძე*** *ჩვენი გაზეთის სტუმარია.*

- ქალბატონო ნაილა, ქობულეთელი ჩელებაძეების გვარში პირველი ქალი ხართ, რომელსაც მეცნიერების სარბიელზე საკუთარი ხელწერა გაქვთ...

- დიდი მადლობა ასეთი წარდგენისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს სანათესაოში არაერთი ნიჭიერი, წარმატებული ქალბატონი გვყავდა და გვყავს - პედაგოგი, ექიმი, ინჟინერი, მეცნიერებით მხოლოდ მე დავინტერესდი.

- დიდი და რთული გზა გამოიარეთ. ქვეყნისთვის ძნელბედობის წლებში მოიპოვეთ სამეცნიერო ხარისხი, მეცნიერ-ხელმძღვანელთან ერთად, ამ მიღწევას ვის უმადლით?

- ზოგადად, ქართველოლოგიით ჩემი დაინტერესება ოჯახიდან დაიწყო. დედაჩემი შუქიფე ცივაძე ფილოლოგი გახლდათ, რომლისგანაც ხშირად მესმოდა ჩვენი სახელოვანი მეცნიერების - შოთა ძიძიგურის, ალექსანდრე ბარამიძის, აკაკი შანიძის, ლეო კვაჭაძის, ვლადიმერ თოფურიას, ივანე გიგინეიშვილის, არნოლდ ჩიქობავას, ალექსანდრე ღლონტის, მიხეილ ჭაბაშვილის გვარ-სახელები. ისინი ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩამოდიოდნენ, ლექციებს კითხულობდნენ. შემდგომ, სკოლაში, ისტორია ძალუმად შემაყვარეს საყვარელმა მასწავლებლებმა, აწ განსვენებულმა ანჟელინა ბილიხოძემ

ქრისტეს ნათელს, მდინარე სხალთისწყალში. მაშინ ტაძრის წინამძღოლი გახლდათ მამა გრიგოლი, ამჟამად სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი, მეუფე სპირიდონი. ამ ემოციებმა, კუთხის სიყვარულმა მიმაჯაჭვა ხიჭაურის უნივერსიტეტსაც.

- მეცნიერულ სარბიელზე მრავალწლიანი მოღვაწეობა საფუძველს გაძლევთ, დოქტორანტების ხელმძღვანელიც იყოთ. ამის მცდელობა თუ გქონიათ?

- სადოქტორო დაცვაზე ექსპერტი კი ვყოფილვარ, მეცნიერი-ხელმძღვანელი - არა. თუმცა, მომავალ ისტორიკოსებთან მჭიდრო კავშირი მაქვს, იქნება ეს კონსულტაციები, სამეცნიერო ლიტერატურით დახმარება, საველე-ეთნოგრაფიულ მუშაობაში ახალგაზრდების ჩართვა... ეს ჩემი საქმიანობის მთავარი ქვაკუთხედია. როგორც წმინდა ილია მართალი ბრძანებდა: სამშობლოს ისტორიული წარსული ყოველ ჩვენგანს გულის ფიცარზედ უნდა გვქონდეს დაბეჭდილი. გული მტკივა, რომ თანამედროვე ახალგაზრდები ნაკლებად აკეთებენ არჩევანს ქართველოლოგიურ მეცნიერებაზე, რასაც, ვფიქრობ, ფინანსური მხარე განაპირობებს. მეცნიერება, ერთგვარად, თვითშეწირვაცაა საყვარელი საქმისთვის, იგი ენთუზიაზმის გარეშე ვერ განვითარდება, რასაც ქვეყანაში შექმნილ მძიმე პერიოდში (უხელფასობა, უშუქობა) ჩვენი სამეცნიერო წრის მოღვაწეობა, ვიტყოდი - თავდადებაც ადასტურებს.

- ორიოდ წინადადებით - თქვენი და რევაზ ჩელებაძის ურთიერთობებზეც...

- ჩვენი მშობლები განსაკუთრებული სიახლოვით გამოირჩეოდნენ, დედებიც დებივით იყვნენ. მშობლები ადრე გარდამეცვალა და რევაზის ოჯახი ჩემს მეორე ოჯახად იქცა. ასპირანტურაში სწავლისას თბილისში მასთან ვცხოვრობდი, მისი წყალობით მახსოვს ოქროს თაობის ფეხბურთელები: დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ გუცაევი, საშა ჩივაძე, თამაზ კოსტავა, მანუჩარ მაჩაიძე, ოთარ გაბელია კარის მეზობელი იყო. იმ წლებში თბილისის „დინამოს“ საშინაო მატჩებს არ ვტოვებდი, რაც რევაზსაც ახარებდა. იგი საბჭოთა პერიოდში მოინათლა, დედამისიც - 72 წლის ასაკში. 80-იან წლებში, ღამით, როდესაც თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ჩვენს პატრიარქს ფარულად დაალოცვინეს, რევაზი სიხარულს ვერ ფარავდა. გვიყვებოდა, როგორ ჩაიკრა იგი გულში უწმინდესმა. მისი ოჯახი გამოირჩევა სათნოებით, სიკეთით, ღვთისნიერებით. დასასრულ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთით, თურქეთსა და სირიაში მომხდარი ტრაგედიის გამო, თანაგრძნობა გამოვუცხადო დაღუპულთა ოჯახებს, ახლობლებს, გადარჩენილებს კი უფალმა გამძლეობა მიმადლოთ.

„მოსახლეობასთან ურთიერთობამ, ურთიერთპატივისცემამ, მეგობრობამ დამაახლოვა მთიანეთს. ჯერ კიდევ საბჭოურ ანტირელიგიურ, ათეისტურ ქვეყანაში, მით უფრო აჭარაში, სხალთის ტაძრის ხილვამ, რომელიც ერთადერთი შემორჩენილი, უძველესი მართლმადიდებლური სამლოცველო გახლდათ, ჩემში ისეთი ემოციები აღძრა, რომ უფალთან პირობა დავდე: „როცა ამ ტაძარში ღვთისმსახურება აღდგება, აქ უნდა მოვინათლო“. ასეც მოხდა

და ნანი წერეთელმა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის სპეციალობით დიპლომის აღების შემდეგ, დედას გავუზიარე სწავლის გაგრძელების სურვილი (მამა უკვე გარდაცვლილი მყავდა), რასაც თავად ვეღარ მოესწრო. ჩემი უფროსი ძმის - თემურის დაჟინებით, საამაყო ბიძაშვილის - რევაზ ჩელებაძის დიდი თანადგომით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ დავით ხახუტაიშვილის დროს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოვიპოვე მიზნობრივი ასპირანტურის ადგილი ეთნოლოგიის მიმართულებით. საგამოცდო კომისიას თავმჯდომარეობდა საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, რომლის ლექციებმა და, საერთოდ, პედაგოგიურმა მიდგომამ ასპირანტებისადმი, სწავლების გამორჩეულმა მეთოდებმა წარუშლელი კვალი დატოვა. პარალელურად, სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლდათ ასევე ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვახტანგ შამილაძე.

- ქობულეთის მეექვსე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიმკვიდრეთ ადგილი. როგორ გაიხსენებთ ინსტიტუტის ხელმძღვანელების დამოკიდებულებას ახალგაზრდებისადმი?

- დავით ხახუტაიშვილის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მეტად რთულ პერიოდს უკავშირდება. მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტის მისია მეტად რთული და საპასუხისმგებლო გახლდათ, რადგან სწორედ აქედან ხდებოდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და რეგიონის საპასუხისმგებლო საჯარო სამსახურების კვალიფიციური კადრებით შევსება. ბატონი დავითი არაერთგზის შეგვახსენებდა ამას და მაქსიმალურად გვიწყობდა ხელს სწავლაში, იქნებოდა ეს მივლინება, კონსულტაცია, საველე ექსპედიცია თუ სხვა. დღეს ინსტიტუტის დირექტორი გახლავთ ეთნოლოგი, ისტორიკოსი, აკადემიური დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი როინ მალაყმაძე, რომელიც ახალგაზრდულ ასაკში შეეჭიდა ამ რთულ საქმეს და დაკისრებულ მოვალეობას თავი მშვენივრად გაართვა. ბატონი როინი კარგად ითვალისწინებს ინსტიტუტის ცალკეული ხელმძღვანელის მუშაობის სტილს, არის კომუნიკაბელური, თავმდაბალი. მან შეძლო მძიმე პერიოდშიც კი ინსტიტუტის სახის შენარჩუნება. რა თქმა უნდა, ამ ორი ხელმძღვანელის წარმატებული საქმიანობის საფუძველი პატრიოტიზმია, პასუხისმგებლობის გრძნობა, ინსტიტუტის ტრადიციების პატივისცემაა.

- ისტორიკოსების, განსაკუთრებით - სამხრეთ-დასავლეი საქართველოს ისტორიის მკვლევარებისთვის სამაგიდო წიგნად იქცა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ (აჭარა) ოთხტომეული. რა შრომა გასწიეთ მის გამოცემაში?

- ჩემთვის დიდი პატივი იყო ამ წიგნის სარედაქციო საბჭოს წევრობა, უფრო მეტიც, მეოთხე ტომში საკმაოდ რთული საკითხის დამუშავებაც დამეკისრა, რადგან საბჭოთა პერიოდის რელიგიური ცხოვრების ამსახველი მასალები საარქივო და სამუზეუმო ფონდების კუთვნილება გახლდათ.

- თანაავტორი ხართ წიგნის „ზედა მაჭახელი“, რომელმაც საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. სხვებთან ერთად, ზედა მაჭახლის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კვლევას რა მიმართულებით აგრძელებთ?

- ამ წიგნის უპირველესი მნიშვნელობა მაინც ის გახლავთ, რომ მონოგრაფიულად პირველად მოხდა ორად გაყოფილი მაჭახლის ხეობის - თურქეთის რესპუბლიკაში მოქცეული მხარის შესწავლა. საგულისხმოა, რომ ზედა მაჭახელი საკმაოდ იზოლირებულად იყო ათწლეულების განმავლობაში როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, ასევე ადმინისტრაციული თვალსაზრისითაც. წიგნის მეორე ნაწილში მეტი ადგილი დაეთმობა კონკრეტულ საკითხებს, თანამედროვე ყოფა-ცხოვრებას, ტრანსფორმაციულ პროცესებს.

- გამომცემლობა „იმედმა“ თქვენი ავტორობით გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელო „ტურისტული ბიზნესის განვითარების რესურსები საქართველოში (სხალთისწყლის ხეობა)“. ტურიზმის განვითარების ხელშესაწყობად კიდევ რა გაქვთ გაკეთებული?

- მოგეხსენებათ, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებისთვის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოსცეს დამხმარე სახელმძღვანელო, რომელშიც ჩემ მიერ მომზადებული რამდენიმე სტატია დაიბეჭდა.

- ამ ბოლოს კავკასიის საერთაშორისო ლინგვისტურ სამიტში მონაწილეობდით...

- ეს სამიტი თავისი თემატიკითა და შემადგენლობით გამორჩეული იყო, თუმცა დასაფასებელია სხვა სამეცნიერო ფორუმებიც, რომლებშიც ვმონაწილეობდი.

- დასაფასებელია ის შრომა, რასაც ინსტიტუტის სხვა მეცნიერებთან ერთად, სტამბოლის ქართულ სავანეში, ტაო-კლარჯეთსა და ჭოროხ-არტაანის მხარეში ეწევით.

- განსაკუთრებით ჩვენი საამაყო მეცნიერის, ქალბატონ შუშანა ფუტკარაძის ღვაწლია დასაფასებელი. სწორედ მისი პირადი ურთიერთობებით ზაზაძეების ოჯახთან და დიდი ავტორიტეტით შევძელით ამ ძვირფას საუნჯესთან წვდომა. ისტორიულ საქართველოში არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია განხორციელდა, რისთვისაც მადლიერება უნდა გამოვხატოთ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, განსაკუთრებით კი რექტორის, პროფესორ მერაბ ხალვაშის მიმართ, რომელიც ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი გახლდათ და კარგად იცნობს მის სპეციფიკას, ინსტიტუტის მისიას.

- ხინოს ხეობის წარსულისა და დღევანდელობის სამზეოზე გამოტანას რა ფორმით აპირებთ?

- ჩემს საკანდიდატო ნაშრომში ხინოს ისტორიულ ხეობაში ჩაწერილი საკმაოდ მრავალი მასალა ჩავდე, ხეობის ტოპოგრაფიული რუკა და ერთგვარი გზამკვლევიც შევადგინე, კიდევ სხვა სტატიებიც დავბეჭდე ჩვენი ინსტიტუტის დარგობრივ კრებულებსა და შრომებში. ამჟამად რაიმე კონკრეტული გეგმა ხინოს ხეობის შესახებ არ მაქვს.

- წელს რომელ პროექტებში, სამეცნიერო კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობა გაქვთ დაგეგმილი?

- მეცნიერება დიდ ცოდნას, ერუდიციას, ინტუიციას მოითხოვს. ასაკთან ერთად, ნაშრომთა რაოდენობაც მატულობს, იხვეწება მისი ფორმა, ხარისხი. საქმისადმი პასუხისმგებლობა და კიდევ ბევრი სხვა რამ თუ არ გააჩნია მკვლევარს, იგი მეცნიერად ვერ ჩამოყალიბდება. გეგმა ბევრი მაქვს, უნარი და გამძლეობაც. უფრო მეტად, საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობაზე მაქვს აქცენტი გადატანილი.

- იმ მეცნიერთა რიგებში ხართ, რომლებიც ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტს ვერ ელევიან...

- ჩემი სადისერტაციო ნაშრომის, მონოგრაფიების საბაზო-საველე რესურსი სწორედ მთიან აჭარაში მოვიპოვე. აი, მაშინ, მოსახლეობასთან ურთიერთობამ, ურთიერთპატივისცემამ, მეგობრობამ დამაახლოვა მთიანეთს. ჯერ კიდევ საბჭოურ ანტირელიგიურ, ათეისტურ ქვეყანაში, მით უფრო აჭარაში, სხალთის ტაძრის ხილვამ, რომელიც ერთადერთი შემორჩენილი, უძველესი მართლმადიდებლური სამლოცველო გახლდათ, ჩემში ისეთი ემოციები აღძრა, რომ უფალთან პირობა დავდე: „როცა ამ ტაძარში ღვთისმსახურება აღდგება, აქ უნდა მოვინათლო“. ასეც მოხდა. 1991 წლის 16 მარტს აქ ვეზიარე

სიმთვრალის ამონასუნთქით დადგენა განახლდა

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2023 წლის 15 თებერვლიდან განახლდება ამონასუნთქი ჰაერით ალკოჰოლური სიმთვრალე-სიფხიზლის დადგენის ექსპერტიზა. „ბიუროს მომხმარებლებს ექსპერტიზის ჩატარება შეეძლებათ 24 საათის განმავლობაში, უქმე დღეების ჩათვლით, ბიუროს ოფისების შემდეგ მისამართებზე: თბილისი - ი. ჭავჭავაძის გამზირი №84 (ბაგები), ქუთაისი - ი. ჭავჭავაძის გამზირი №2ა, ბათუმი - პ. მელიქიშვილის ქუჩა №102. ამონასუნთქ ჰაერში ალკოჰოლის შემცველობის განსაზღვრა ექსპერტიზის ბიუროში დროებით შეჩერდა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ კორონავირუსის გამოცხადების და საქართველოს მთავრობის მიერ საჯაროდ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად გატარებული ღონისძიების ფარგლებში. სურვილის შემთხვევაში მომხმარებელს ორგანიზმში ალკოჰოლის განსაზღვრის ექსპერტიზის ჩატარება, ასევე შეუძლია სისხლის ნიმუშის აღების მეთოდით, საქართველოს შსს-ს და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით (2013 წლის 31 დეკემბრის №1017/01-52/ნ) განსაზღვრულ კლინიკებში“, - ნათქვამია განცხადებაში.

ამირან გურიელიძე

„არ არის გამორიცხული დივერსია“ (?!)

ნანა აბულაძე 577 20 35 90

13 თებერვალს ბათუმში, ზღვის სანაპიროზე, სავარაუდოდ, ნაღმის აფეთქებას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი ახსნა და დაძაბულობა მოჰყვა. გავრცელებული ინფორმაციით, ის, რაც ბათუმის სანაპიროზე აფეთქდა, შესაძლოა ე. წ. მცურავი ნაღმი იყოს და უკავშირდებოდეს უკრაინის ტერიტორიული წყლების დანაღმვას. აღსანიშნავია, რომ ზღვის დინებას გაყოლილი, მოტივტივე ნაღმები სხვადასხვა დროს თურქეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში აღმოაჩინეს

„არ არის გამორიცხული დივერსია“, - აცხადებს ბიოლოგიის დოქტორი, იქტიოლოგი, ასოციაცია „ფლორა და ფაუნას“ გამგეობის თავმჯდომარე არჩილ გუჩმანიძე. მისი ვარაუდით, შესაძლო ნაღმი, რომელიც ბათუმის სანაპიროზე აფეთქდა, დიდი ალბათობით, არ არის კავშირში უკრაინასთან და დეტალურად მოჰყავს აღნიშნულის საპირწონე არგუმენტები:

„ეს ნაღმი, მაღალი ალბათობით, არ მოსულა უკრაინიდან. შავ ზღვაში გვაქვს ორი ციკლური დინება, ერთი მის აღმოსავლეთ, ხოლო მეორე მის დასავლეთ ნახევარში. ეს ორი წყლის მასების წრებრუნვა ერთმანეთისგან გამიჯნულია (მას ოკეანოგრაფები კნიპოვიჩის სათვალეს ეძახიან). უკრაინიდან წყლის მასებს რომ წამოეღო ეს ნაღმი, მას უნდა გამოევლო დუნაის ფრონტი, რუმინეთის (200 კილომეტრი), ბულგარეთის (300 კილომეტრი) სანაპირო და მერე უნდა გადასულიყო თურქეთის წყლებში, სადაც მას მოუწევდა ბოსფორის სრუტის სიახლოვეს (სადაც გემების დიდი ტრაფიკია) მოხვევა. მერე მას უნდა ემოძრავა სინოპის ნახევარკუნძულამდე (კიდევ 500 კილომეტრი), სადაც უნდა გადაელახა ორ ციკლურ დინებას შორის არსებული სივრცე (ეს დრეიფით, ფაქტობრივად, შეუძლებელია) და გადმოსულიყო შავი ზღვის აღმოსავლეთ ნახევარში, სადაც მას თურქეთის ნაპირების გასწვრივ კიდევ უნდა დაეძლია 600 კილომეტრი და მოეღწია საქართველოს წყლებამდე. მაღალი ალბათობით, საქმე სხვა რამესთან გვაქვს, არ არის გამორიცხული დივერსია. გაგვიმართლა, იქვე 100 მეტრშია ზღვაში შეჭრილ პირსზე მოწყობილი რესტორანი „სანრემო“. ნაღმი ამ კონსტრქუციას რომ დაჯახებოდა და მომხდარიყო დეტონაცია, მსხვერპლი გვეყოლებოდა. გაგვიმართლა, რომ დიდი შტორმი იყო და ამ დროს აღნიშნულ აკვატორიაში არცერთი გემი არ მოძრაობდა. ალბათობა გემთან შეჯახებისა (ნაღმი აუცილებლად ჩრდილოეთით, ბათუმის პორტისკენ წაიწევდა) ძალზე მაღალი იყო თანმდევი ტრაგედიებით. როგორც თვითმხილველები ამბობენ, სანაპიროზე კიდევ იყო მეორე ნაღმი, რომელიც იქ არ აფეთქებულა, ზღვამ წაიღო. იქვეა ბათუმის სატუმბი სადგურის სიღრმისეული ჩაშვების მილი. უნდა შემოწმდეს, ეს მილი ხომ არ დაზიანდა აღნიშნული აფეთქებით“, - წერს არჩილ გუჩმანიძე საკუთარ ფეისბუქგვერდზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციითდ, აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 229-ე მუხლით დაიწყო, რომლის ფარგლებშიც განაღმვითი სამუშაოები ჩატარდა. ამოღებულია ასაფეთქებელი მოწყობილობის ნარჩენები და დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები:

„ამოღებული და შესწავლილია მოქალაქეების მიერ გადაღებული, ფაქტის ამსახველი კადრები. პოლიციამ უკვე გამოკითხა თვითმხილველები. სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლები სწრაფმავალი კატარღებით ეტაპობრივად ათვალიერებენ ბათუმისა და ფოთის მიმდებარე აკვატორიებს, ასევე, ნავსადგურებს, აგრეთვე ახორციელებენ ანაკლიიდან სარფამდე სანაპირო ზოლის მონიტორინგს. საგანგებო სიტუაციების სამსახურის შესაბამისი დანაყოფები სპეციალური დრონების საშუალებითაც, პერიოდულად, მონიტორინგს ახორციელებენ. მოქალაქეთა უსაფრთხოებისთვის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლებს ერთმანეთთან მჭიდრო კომუნიკაცია აქვთ და კოორდინირებულად მუშაობენ. ნებისმიერ შეტყობინებასა თუ ინფორმაციაზე ოპერატიულ რეაგირებას მოახდენს კრიმინალური პოლიცია“, - ნათქვამია შსს განცხადებაში.

მათივე განმარტებით, სამინისტროს შესაბამისი დანაყოფები სპეციალური ტექნიკისა და აღჭურვილობის მეშვეობით მოახდენენ სანაპირო ზოლის დაცვის მონიტორინგს, განახორციელებენ უსაფრთხოების შესაბამის პრევენციულ ღონისძიებებს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში. ამასთანავე, გაიმართება საინფორმაციო შეხვედრები ადგილობრივ მეთევზეებთან, სანაოსნო-სატრანსპორტო საქმიანობაში ჩართულ ორგანიზაციებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან.

„უსაფრთხოებისთვის საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, სანაპირო ზოლის გასწვრივ განთავსდება სპეციალური ბარიერები. საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად გამოიცა სპეციალური ცირკულარი, ნავიგაციის უსაფრთხოების ზომების შესახებ. ნავსადგურების კაპიტნებმა და ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა ადგილობრივ მოსახლეობას, კომერციული, სატრანსპორტო და სატვირთო გემების, აგრეთვე თევზსაჭერი სეინერების წარმომადგენლებს მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია. რეგიონში არსებული ვითარების გამო ბოლო პერიოდში მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა შავი ზღვის მიმდებარე სხვა სახელმწიფოებშიც. საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტსა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის ფორუმის ფარგლებში, გასული წლის განმავლობაში მოგვაწოდეს ინფორმაცია, კერძოდ, ბულგარეთის შავი ზღვის სასაზღვრო საკოორდინაციო და საინფორმაციო ცენტრიდან და თურქეთის ეროვნული საკოორდინაციო ცენტრიდან მივიღეთ ინფორმაცია შავი ზღვის აუზის ქვეყნების საზღვაო სივრცეში (თურქეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და უკრაინა) აღმოჩენილი მცურავი ნაღმების შესახებ. ასევე გვაცნობეს, რომ ცუდი მეტეოროლოგიური პირობების (შტორმის) შედეგად, შესაძლებელია მცურავი ნაღმები ზღვამ შემოიტანოს საქართველოს საზღვაო სივრცეში“, - ვკითხულობთ განცხადებაში.

ძალოვანი უწყების ცნობით, უსაფრთხოების ზომების გამკაცრების მიზნით, შავ ზღვაში ტერიტორიული წყლების სპეციალური ბარიერები განთავსდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოქალაქეებს მოუწოდა, ზღვაში ან სანაპირო ზოლზე საეჭვო ნივთის შემჩნევის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს - „112“-ს და მიაწოდონ ინფორმაცია.

უკრაინა

მდგომარეობა ფრონტის ხაზზე, განსაკუთრებით აღმოსავლეთში, უკიდურესად მძიმეა, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. „ეს არის ბრძოლა უკრაინის მიწის ყოველი მეტრისთვის. უნდა გვესმოდეს ამ ბრძოლების მნიშვნელობა. იქ მოგებული ყოველი მეტრი მთელი ჩვენი სახელმწიფოს დაცვაა. ყოველი დღე, რომელსაც ჩვენმა გმირებმა გაუძლეს ბახმუტში, ვუჰლედარში, მარინკასა და დონბასის სხვა ქალაქებსა და თემებში, რუსული აგრესიის კვირების განმავლობაში შემცირებას ნიშნავს“, - განაცხადა ზელენსკიმ. მისი თქმით, დონბასში რუსული პოტენციალის უპრეცედენტო განადგურება ხორციელდება. „იმას, რასაც მტერი დონბასში კარგავს, ვეღარ აღადგენს. ეს რუსული აგრესიის სწორედ ის პოტენციალია, საიდანაც ტერორისტული სახელმწიფოს ხელმძღვანელობა ელოდა ჩვენი მთელი უკრაინის განადგურებას“, - განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა.

* * *

რუსეთმა უკრაინაში სტრატეგიულად, ოპერატიულად და ტაქტიკურად წააგო და უზარმაზარ ფასს იხდის ბრძოლის ველზე, - ამის შესახებ აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის ხელმძღვანელმა, გენერალმა მარკ მილიმ განაცხადა. მისი თქმით, პუტინი ფიქრობდა, რომ უკრაინის სწრაფად დამარცხებას შეძლებდა, თუმცა შეცდა. „პუტინი ფიქრობდა, რომ შეეძლო უკრაინის სწრაფად დამარცხება, ნატოს ალიანსის დაშლა და დაუსჯელად მოქმედება - ის შეცდა. უკრაინა რჩება თავისუფალი, დამოუკიდებელი. ნატო და ეს კოალიცია არასოდეს ყოფილა ასეთი ძლიერი და რუსეთი ახლა გლობალურად გარიყულია. მსოფლიო შთაგონებულია უკრაინული სიმამაცითა და გამძლეობით. მოკლედ, რუსეთმა წააგო - წააგო სტრატეგიულად, ოპერაციულად და ტაქტიკურად და უზარმაზარ ფასს იხდის ბრძოლის ველზე“, - განაცხადა ამერიკელმა გენერალმა.

* * *

მადლობელი ვარ „რამშტაინის“ მონაწილე ქვეყნების და ნატოს წევრი ქვეყნების უკრაინის მხარდაჭერისთვის“, - ამის შესახებ უკრაინის თავდაცვის მინისტრი ოლექსი რეზნიკოვი „ტვიტერში“ წერს. როგორც ცნობილია, აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა ბრიუსელში „რამშტაინის“ ფორმატში გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ საკონტაქტო ჯგუფის წევრებმა გადაწყვიტეს უკრაინას გამოუყონ Bradley-სა და Abrams-ის ტანკები აშშ-დან, Challenger-ის ტანკები - გაერთიანებული სამეფოდან, ასევე მოდერნიზებული ტანკები - აშშ-დან, ნიდერლანდებიდან და ჩეხეთიდან და T-72 ტიპის ტანკები - პოლონეთიდან. დახმარება ასევე მოიცავს მნიშვნელოვან ნაბიჯებს Leopard-ის ტანკებთან დაკავშირებით კანადიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, ნორვეგიიდან, დანიიდან, ნიდერლანდებიდან, პოლონეთიდან და პორტუგალიიდან.

* * *

აშშ უკრაინისთვის 10 მილიარდი დოლარის ოდენობის ეკონომიკური დახმარების პაკეტს ამზადებს. ამის შესახებ ინფორმაციას Sky News-ი ამერიკელ მაღალჩინოსნებზე დაყრდნობით ავრცელებს. მათი თქმით, აშშ-ის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია რამდენიმე განცხადებას ამზადებს, რათა შემდეგ კვირას, ომის დაწყების წლისთავზე უკრაინისადმი აშშ-ის ურყევი მხარდაჭერა აჩვენოს. იგი მოიცავს რუსეთის წინააღმდეგ ახალ სანქციებს და 10 მილიარდი დოლარის ეკონომიკური დახმარების პაკეტს, რათა კიევში მყოფ ხელისუფლებას ფუნქციონირებაში დაეხმაროს. გამოცემის წყაროების თანახმად, აღნიშნული პაკეტი უკრაინის ხელისუფლებისთვის პირდაპირი საბიუჯეტო დახმარება იქნება. მათი თქმით, უახლოეს დღეებში უკრაინისთვის სამხედრო დახმარების კიდევ ერთ დიდ პაკეტზე იქნება განცხადებული.

* * *

უკრაინაში ომში რუსეთის არმიის 97% არის ჩართული, - ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ბენ უოლესმა განაცხადა. მოსკოვის შეტევითი სტრატეგიის კომენტარებისას, უოლესმა აღნიშნა, რომ რუსეთმა ერთიანი ძალის შექმნა ვერ შეძლო, რათა უკრაინის დაცვა „გაერღვია“ და „ჩვენ ვხედავდით ძალისხმევას, რომლებიც წინ წაწევისკენ იყო მიმართული“. „ეს უდიდეს ფასად დაუჯდა რუსეთის არმიას. ჩვენი შეფასებებით, რუსეთის არმიის 97%, მთელი რუსეთის არმიის, უკრაინაში იმყოფება“, - აღნიშნა უოლესმა. მისი თქმით, რუსეთის დასამარცხებლად უკრაინის დახმარებით დასავლეთი საკუთარ უსაფრთხოებას აძლიერებს. „თუ რუსეთის არმიის 97% ახლა უკრაინაში იმყოფება, პირადი შემადგენლობის ძალიან, ძალიან დიდი გადინებით, პოტენციურად მათი ბრძოლისუნარიანობა 40%-ით არის შემცირებული, ხოლო ტანკების ორი მესამედი განადგურებული ან დაზიანებულია, ამას პირდაპირი გავლენა აქვს ევროპის უსაფრთხოებაზე“, - აღნიშნა უოლესმა. მისი თქმით, რუსეთი წინ წაწევას პირველი მსოფლიო ომის დონეზე ცდილობს, იგივე დონის დანაკარგებით და წარმატების მაჩვენებლებით, რომლებიც „მეტრებით და არა კილომეტრებით განისაზღვრება“.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

შალვა ტაბაღუას სახელობის ტურნირი

მანანა ბიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ზღვისპირა პარკში გაიმართა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის, არაერთი თაობის აღმზრდელის, მასობრივი სპორტის დაუღალავი ორგანიზატორის, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის გენერალური მდივნის, აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაციის პრეზიდენტ შალვა ტაბაღუას სახელობის საიუბილეო თარიღისადმი (მას 85 წელი შეუსრულდა) მიძღვნილი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში

ქალთა შორის დამჯერებლად გაიმარჯვა ნინო აბაშიძემ. მეორე და მესამე ადგილებზე, შესაბამისად, გავიდნენ თამარ ბურჭულაძე და ეთერ დიასამიძე.

შთამბეჭდავი გამოდგა მამაკაცებს შორის გამართული შეხვედრები. ფინალში ერთმანეთს ოთარ დოჭვირი და ალექსანდრე ჩხარტიშვილი შეხვდნენ, რომელთა შორის თამაში თანაბრად წარიმართა, თუმცა საბოლოოდ ოთარ დოჭვირმა იმარჯვა და პირველი ადგილი დაისაკუთრა. მესამე ადგილზე გავიდა ტურნირის უხუცესი მონაწილე ოლეგ ტროფიმოვი.

ტურნირის მთავარი მსაჯი გახლდათ შალვა ტაბაღუას ყოფილი მოსწავლე, მსოფლიოს მესამე პრიზიორი ჭიდაობა სამბოში ვეტერანთა შორის ოთარ დოჭვირი.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აღშარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 15/02/23, 20 45 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

სად ცხოვრობს სულხან წულუკიძე, როცა აქედან წასვლას მოისურვებს?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

იყო პოეტი, ნიშნავს გრძნობდე - გიყვარდეს, გიხაროდეს, გტკიოდეს, ყველა განცდა ეტევა სულში, დროდადრო ვულკანებად ამოიფრქვევა და დაგროვილ სათქმელს ადამიანების გულებამდე მიიტანს. დღეს გაზეთ „აჭარის“ ბლიცინტერვიუდან კიდევ უფრო ახლოს გაიცნობთ ბათუმელ პოეტ ***სულხან წულუკიძეს,*** *რომლის პოეზია თითქოს ერთგვარ დუელში გიწვევს - გაფხიზლებს, გაფიქრებს და გაფორიაქებს.*

- ყველაფერი დაიწყო აღქმით, რომ...

- შენ ამ სამყაროს ნაწილი ხარ და შეგიძლია მისი შეცვლა უკეთესობისკენ.

- ნეტა დამაბრუნა...

- თავისთავად - ბავშვობაში.

- ცხოვრება ჰგავს...

- ძნელია კონკრეტულად რამეს შეადარო, ცხოვრება ჰგავს ბევრ რამეს,ზღაპარს - კეთილი ფინალით და კოშმარს - საშინელი განვითარებით.

- ბევრჯერ მიფიქრია...

- სამშობლოდან წასვლაზე.

- ვნანობ...

- საკუთარ სისუსტეებს და მათგან გამოწვეულ შედეგებს, დაკარგულ დროს ვნანობ.

- მუსიკის როლი - ჩემს ცხოვრებაში...

- მთავარია, მუსიკა ჩემი გულია, მთავარ როლს თამაშობს იმ სცენაზე, რომელზეც გაღვიძებისთანავე ავაბიჯებ ხოლმე. მუსიკა ყველაფერია!

- სამყაროს აღქმის ჩემეული ემოცია...

- ვფიქრობ, შედარებითი და ცვალებადია, ჩემი სამყარო იისფერია და მას ოსმანთუსის სურნელი ასდის.

- ვტირი...

- როდესაც ყოველგვარი მოქმედება და მცდელობა რაღაცის შეცვლისა, უშედეგოა.

- სიყვარული რომ არ ყოფილიყო...

- არ გავჩნდებოდი. არც შენ არ გაჩნდებოდი, არც ტრიფონი გაჩნდებოდა.

- სევდას მგვრის...

- სევდის ორდენის კავალერი გახლავართ, დიდი მემკვიდრეობის მფლობელი... სევდას მგვრის რეალობა, რადგან ხშირად ადამიანებს არ შეგვწევს ძალა, ვიყოთ ისეთები, როგორებადაც წარმოგვიდგენია საკუთარი თავი. სევდა ჩემი რეალური სამყაროა!

- სამი ფილმი, რომელმაც ფიქრის ტრაექტორია შემიცვალა...

- ვერ გამოვყოფ. ჩემი ფიქრის ტრაექტორია მუდმივად იცვლება... თუმცა ამ ბოლო დროს ერთ ანიმეში ვცხოვრობ, რომელიც ჩემთვის ძვირფასმა ადამიანმა მაჩვენა. იქ ვცხოვრობ, როცა აქედან წასვლა მინდა.

- წიგნი, რომელშიც საცხოვრებლად გადავიდოდი...

- „ჯადოსნური მთა“.

- მერცხლებმა მხოლოდ ერთი დღით რომ გათხოვონ ფრთები...

- აღმოსავლეთისკენ გავფრინდებოდი.

- არასდროს...

- შევეგუები უსამართლობას!

- რა ფერი აქვს სიკეთეს?

- სიკეთე ყველა ფერია!

- ყველაზე კეთილი ადამიანია...

- „ვინც იშვა ბოლოს, ბოლო თვის“.

- ვიცი ცრურწმენაა, მაგრამ მაინც...

- სამჯერ ვაკაკუნებ.

- „ერთ მდინარეში“ რამდენჯერ შეიძლება შევიდეს ადამიანი?

- რამდენჯერაც შეიპყრობს წყურვილი.

- სიყვარულია, როცა...

- ვერ იძინებ, უმიზეზოდ იღიმი და ნერვიულობ... როცა ავად ხარ!

- ქალი...

- ყველა სასვენი ნიშანი ერთად!

- წერის პროცესი ჰგავს...

- მშობიარობას, ამიტომაც ვთვლი, რომ მესმის საპირისპირო სქესის.

- ლექსი, რომელიც ყველაზე მეტად მგავს...

- „შახსეი-ვახსეი“.

- ექსპრომტად...

- შენ ადარებდი ციცინათელებს
ვარსკვლავებს - ცაში მცურავ
პლანქტონებს,
რომლებიც ვეღარ გვიწოლადებენ
სითბოს, რომელშიც ერთხელ
დაგვტოვეს...

- ადამიანი ადამიანისთვის...

- უნდა მოკვდეს.

- ყოველთვის ერთნაირად აღმაფრთოვანებს...

- დედაჩემის თვალების ფერი!

- თავისუფლება არის...

- მეტროსადგური - რუსთაველსა და ავლაბარს შორის!

- სიტყვას...

- შეუძლია დაგბადოს და შეწყვიტოს შენი არსებობა!

- ჩემი წილი ბათუმი...

- მხოლოდ მოგონებებშია ისეთი, როგორიც მინდა იყოს, უფრო კეთილი, უფრო ქართული, ვიდრე დღეს არის!

- ზღვა რომ არ იყოს ამ ქალაქში...

- სოხუმში ვიცხოვრებდი.

- ჩემზე არავინ იცის, რომ...

- უკვე საკმაოდ „გავშიშვლდი“, თუმცა არავინ იცის, რომ იმ ღამით, როცა ღელვამ ზღვაზე პირსი დაანგრია და ხიდი ჩატეხა, იქ ვიყავი და რამდენიმე წუთით გამოვასწარი.

- მომავლის კადრი...

- საწოვრისთავიანი რძის ბოთლი - ჯიბეში, მხრებზე კი ფუშფუშაკაბიანი კუდრაჭა.

- ახალგაზრდების როლი...

- განუზომელი, ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანია ყველა ერის ცხოვრებაში! მათი როლი არის ის, რაც ქმნის მომავალს და ისტორიას!

- მას ვეტყვი, რომ...

- მასთან ყველაზე ნამდვილი და წრფელი გრძნობა მაკავშირებს.

- წვიმაში ტანგოს ვიცეკვებდი...

- მარსელინთან.

- მჯერა...

- სიმართლის, თავისუფლებისა და ბრძოლაში გამარჯვების!

ბათუმელმა „ღიმილის ქალბატონებმა“ ვეტერან ქალთა კავშირი დაუფუძნეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბოლო რამდენიმე წელია, რაც ბათუმის ზღვისპირა პარკში თითქმის ყოველდღე შეხვდებით ქალბატონებს, რომლებიც წელიწადის ყველა დროს, კარგ ამინდში, დილაობით იკრიბებიან, ვარჯიშობენ, მერე ვეტერანთა კლუბ „ნონაში“ დასხდებიან და სხვადასხვა საკითხზე ბჭობენ, ერთმანეთს მოიკითხავენ. მათ „ღიმილის ქალბატონები“ შეარქვეს

ამ დღეებში მათ აჭარის ვეტერან ქალთა კავშირი „ღიმილის ქალბატონები“ დააარსეს (თავმჯდომარე - ამირან ფირცხალაიშვილი), რომლის პრეზენტაცია საზეიმო ვითარებაში გამართეს. წარდგენას დაესწრნენ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ ჩიქოვანი, „ქართული ოცნების“ აჭარის ქალთა ორგანიზაციის გამგეობის წევრი ნატალია ზოიძე, ბათუმის ბულვარის დირექტორის მოადგილე სოფიკო გუჯაბიძე, ბათუმის საზოგადოება.

არჩილ ჩიქოვანმა ქალბატონებს ახალი კავშირის დაფუძნება მიულოცა. მან დახმარება და მხარდაჭერა აღუთქვა სხვადასხვა მიმართულებით, აღნიშნა, რომ ისინი, თავიანთი ცხოვრების წესიდან, ასაკიდან, გამოცდილებიდან გამომდინარე, ბევრი საჭირო საქმის გაკეთებას შეძლებენ ჩვენი ქალაქისათვის, მაგალითს მისცემენ ახალგაზრდობას.

ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ ამ ვეტერანების შესახებ მან დიდი ხანია იცის, ისინი მათ გულიანმა ბათუმელმა, საქართველოს სპორტის დამსახურებულმა მოღვაწე შალვა ტაბაღუამ გააცნო, რომელიც ყოველთვის აქტიურად ითხოვდა ამ სივრცის გამოყოფას ვეტერანებისთვის და მიზანსაც მიაღწია.

- მივესალმები ამ ადამიანების ცხოვრების წესს, ისინი იძლევიან აქტიურობის ისეთ მაგალითს, რომელიც ყველასთვის გადამდები უნდა იყოს. მათი საქმიანობა სასიკეთოდ წაადგება ყველას, - თქვა ნატალია ზოიძემ.

იმავე დღეს წარადგინეს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ქალბატონ თალიკო გაბეჩავას წიგნი „მოგონებანი გარდასულ დღეთა“.

- ალბათ, პირველად დაფუძნდა საქართველოში ასეთი კავშირი და სასიხარულოა, რომ მას ქალაქის მუნიციპალიტეტი, საკრებულო, საზოგადოება უჭერს მხარს. ეს ვეტერანი ქალბატონები არიან ჩვენი ქალაქის სახეები, ისინი ალამაზებენ ბათუმს. გვიხარია მათი არსებობა, - აღნიშნა რეჟისორმა ნინო დავითაშვილმა.

სასიხარულოა, რომ ამ კავშირის პირველ საპატიო წევრად ქართული ჭადრაკის ლეგენდა ნონა გაფრინდაშვილი აირჩიეს. სწორედ მის სახელს ატარებს დარბაზი, სადაც ისინი ყოველდღიურად იკრიბებიან.

როგორც ვეტერან ქალთა კავშირის თავმჯდომარე ამირან ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, კავშირის დაფუძნების იდეა „ღიმილის ქალბატონებს“ გაუჩნდათ. მათი მიზანი მრავალხმრივია - საქველმოქმედო საქმიანობა, ახალგაზრდობასთან ურთიერთობა, სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა.

პრეზენტაციაზე განსაკუთრებით აღინიშნა აჭარის ვეტერან სპორტსმენთა ფედერაციის პრეზიდენტ შალვა ტაბაღუას საქმიანობა, რომელიც სხვადასხვა სპორტული ღონისძიების ინიციატორია, რომლებშიც აქტიურად ჩართულნი სწორედ ეს ქალბატონები არიან.

- აქ მოსვლა რომ გვიხარია, ეს ჩვენი შალვა ტაბაღუას დამსახურებაა. შეიძლება ვთქვა, რომ ბულვარი ჩვენი სამსახურია, - აღნიშნა კავშირის წევრმა თინათინ გიორგაძემ.

კავშირის წევრმა გურანდა ბოლქვაძემ მადლობა გადაუხადა ყველას, მათ შორის, ბათუმის მერიის, ბულვარისა და საკრებულოს წარმომადგენლებს, ვინც კავშირის დაფუძნებას ხელი შეუწყო და აღნიშნა, რომ ახლა მათ საქმიანობისთვის კიდევ უფრო მეტი ასპარეზი მიეცემათ.

კავშირის გამორჩეულად აქტიურმა წევრმა დოდო დიასამიძემ მადლობა გადაუხადა შალვა ტაბაღუას დაუღალავი შრომისთვის და აღნიშნა, რომ სწორედ მისი დიდი ძალისხმევით გაერთიანდა ბულვარში ქალთა ეს გუნდი. ბათუმის ბულვარის დირექტორის მოადგილე სოფიკო გუჯაბიძის თქმით, ბულვარის ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ვეტერანებმა კლუბში თავი კარგად იგრძნონ. დიდი ხანი არ არის, რაც აქ რემონტი ჩატარდა და ვეტერანებს ახლა დასვენების შესანიშნავი პირობები აქვთ.

ჩვენი ძიუდოისტების მეტოქეები ცნობილია

დღეიდან ისრაელის ქალაქ თელ-ავივში ძიუდოისტთა გრანდ სლემი აიღებს სტარტს, რომელიც 19 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება.

საქართველოს ნაკრები ტურნირზე 6 ძიუდოისტით იასპარეზებს. ქართველი ძიუდოისტები ჩვენი ქვეყნის ღირსებას 7-დან 5 წონით კატეგორიაში დაიცავენ. საქართველოს დელეგაციას წარმომადგენლები 81 და 100+ კგ წონით კატეგორიებში არ ეყოლება.

გუშინ ოფიციალური კენჭისყრა გაიმართა, რომლის დასრულების შემდეგაც ძიუდოისტებმა საწყისი მეტოქეების ვინაობა შეიტყვეს.

60 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს ღირსებას ლუხუმ ჩხვიმიანი დაიცავს, რომელსაც პირველ წრეში მეტოქედ თურქმენი ჰაკბერდი ჯუმაიევი ერგო.

66 კგ წონით კატეგორიაში ორი ძიუდოისტით ვიქნებით წარმოდგენილები. ლაშა ნადირაძე საწყის შეხვედრაში გერმანელ მარტინ სეტზს შეხვდება, ოლიმპიური ვიცეჩემპიონი ვაჟა მარგველაშვილი კი იტალიელ ფაბიო ბაზილეს დაუპირისპირდება.

73 კგ წონით კატეგორიაში იქნება მიხეილ ბახბახაშვილი, რომელიც პირველ წრეში აზერბაიჯანელ ნურლან ოსმანოვს შეერკინება.

90 კგ წონით კატეგორიაში იასპარეზებს ბექა ღვინიაშვილი, რომელიც პირველ წრეში დაისვენებს, მეორეში კი ბულგარელ ივაილო ივანოვსა და ისრაელის წარმომადგენელ გაი გურევიჩს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

100 კგ წონით კატეგორიაში საქართველოს ღირსებას ვარლამ ლიპარტელიანი დაიცავს, რომელიც პირველ წრეში უკრაინელ ანტონ სავიტსკის დაუპირისპირდება.

ამირან გურიელიძე